



8363-13-3-2-202008241147



N 13-3/8363

24/08/2020

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს
ბატონ გიორგი კოხრიძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

თეონა თურმანიძისა, მალხაზ რეხვიაშვილისა და სოფიო ჟღენტის შრომითი უფლებების დარღვევისა და თეონა თურმანიძისა და თეონა ხარაბაძის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგების მიხედვით და გეგმავრებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-20¹ მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა №5341/20 საქმე, რომელიც შეეხება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების: თეონა თურმანიძის, მალხაზ რეხვიაშვილის, სოფიო ჟღენტისა და თეონა ხარაბაძის შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევასა და მათ მიმართ განსხვავებული შეხედულებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს განმცხადებლების უფლებების დარღვევას.

1. ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. თეონა თურმანიძის საქმე

2018 წლის 11 იანვარს დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, თეონა თურმანიძე იკავებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის გამოშვების წამყვან-რეპორტიორის პოზიციას. ამავდროულად, იგი წარმოადგენს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (ს/ნ:445575191) გამგეობის წევრს.

2020 წლის 10 აპრილს თეონა თურმანიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა შემდეგი სტატუსი:

*„პანდემია ეხება ყველას და ყველაფერს აჭარის ტელევიზიის გარდა.
ქართული ოცნება ხდება აქ.. დირექტორის მოადგილე ახლა საინფორმაციოს უფროსი ხდება.
ქანრი კომედიური დრამა.
მთავარი როლი, სცენარისტი და კოსტიუმები ბ. ი.“¹*

მომდევნო დღეს, 2020 წლის 11 აპრილს, თეონა თურმანიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გააზიარა მაუწყებლის ვებგვერდზე განთავსებული სტატია, რომელშიც საუბარი იყო დირექტორის მხრიდან ონლაინ სამსახურისთვის ახალი ამბების შექმნის ფუნქციის შეზღუდვის შესახებ² და მასთან ერთად გამოაქვეყნა შემდეგი სტატუსი:

*“ოცნებები ხდება!
ხაჟომიაიზბეჟ.
კიდევ რა დაგრჩათ გასაკეთებელი?
დირექტორის ბალჩატვ”³*

მოგვიანებით, 2020 წლის 14 აპრილს, თეონა თურმანიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა სტატუსი:

*„მოკლედ გეტყვით,
ხშირად გიზიარებდით ახალ ამბებს ჩვენი ვებ გვერდიდან, 12 საათიანი ეთერის შემდეგაც ვაანონსებდი ყოველთვის და არ დამვიწყებია არც ერთხელ:) Sofa მთავარი მიზეზი ეს გოგოა,
ახლა დირექტორმა მისი მეგობარი მოიყვანა, ხაჟომია ხომ გახსოვთ? კი კი ის ქალი, აღარ
დავწერ იმ სიტყვას...
დააბრუნა დიდებულად.
მარტივად, რომ გითხრათ სოფო იყო ვებ პლატფორმის ხელმძღვანელი, ამ გადაწყვეტილებით
კი მას უფროსი დაუნიშნეს:) ახალი ამბის განთავსება ეზღუდება!!
ჰოდა ჩემი მაუწყებლის ნიუსებს რომ აღარ გავაზიარებ, მიზეზი იცოდეთ.
და კიდევ რამდენი მლნ იხარჯება ამ ტვ იცით ალბათ აღარ გახსენებთ,
გვერდით რომ არ დაუდგა ბევრი ესეც იცით,
თქვენი ჯიბის ფული რომ იხარჯება იცით ხომ?
ის მაინც ქენით ვილაცეების სულ 5 კაცის ხუმტურისთვის არ იხარჯებოდეს ამხელა ფული და
მოითხოვეთ ამ ტვ გაუქმება!! რამეგააკეთეთ.
"ახალი დებულების მიხედვით ონლაინ სამსახურს მხოლოდ სოციალური მენეჯერის
ფუნქცია და მასალების საიტზე ატვირთვის კონტროლი დარჩათ."“⁴*

შედეგად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანებით, თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სანქცია და დროებით შეეზღუდა სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვება. ბრძანების შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ ანგარიშზე 2020 წლის 10 და 11 აპრილს გამოქვეყნებული განცხადებები/სტატუსები მიმართული იყო მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ. ბრძანებაში აღინიშნა, რომ სადავო საჯარო

¹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2zV9QPG>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

² სტატია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Z23ZRi>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

³ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3dpx3ar>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁴ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <shorturl.at/crxE9> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

განცხადებებში/სტატუსებში დასაქმებულმა დამცინავი, ირონიული სიტყვებით მოიხსენია მაუწყებელი, მაუწყებლის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა თანამშრომელი, შელახა მაუწყებლის იმიჯი და საქმიანი რეპუტაცია, მოახდინა დამსაქმებლის სხვა თანამშრომლისა და დამსაქმებლის დისკრედიტაცია. ამდენად, მაუწყებლის დირექტორმა აღნიშნული ქმედებები მიიჩნია შრომის დისციპლინის დარღვევად, რომელიც ქმნიდა საფუძველს, დასაქმებულის მიმართ გამოყენებულიყო შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური სანქცია, რაც გულისხმობს განსაკუთრებულ შემთხვევებში კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით დასაქმებულის დაშვების შეზღუდვას. დისციპლინური სანქციის მოქმედების ვადა, შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, განისაზღვრა 1 წლით, რომლის შემცირება, ამავე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელის წარდგინებით და დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ დასაქმებულმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა.⁵

იმავე დღეს, 2020 წლის 21 აპრილს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა №02-26/970 წერილით მიმართა თეონა თურმანიძეს და განუმარტა, რომ მის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე 2020 წლის 14 აპრილს საჯაროდ გამოქვეყნებული სტატუსი, რომელშიც მითითებული იყო მაუწყებლის ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაზე და ასახული იყო მოწოდება მაუწყებლის გაუქმების შესახებ, მიმართული იყო მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ, რითაც ზიანი მიადგა მაუწყებლის იმიჯსა და საქმიან რეპუტაციას. დასახელებული კორესპონდენციით, თეონა თურმანიძეს ეთხოვა ორი სამუშაო დღის ვადაში წარედგინა ახსნა-განმარტება აღნიშნული განცხადების/სტატუსის შესახებ.

თეონა თურმანიძემ მაუწყებლის დირექტორს 2020 წლის 22 აპრილის №02-26/972 წერილით განუმარტა, რომ გამოთქმული პროტესტი თანამშრომლების ჩართულობის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა. ამასთან, დასახელებულ კორესპონდენციაში ჟურნალისტმა მიუთითა, რომ მისი სტატუსები თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის ახლად დამტკიცებული წესების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე დაიწერა და ხაზი გაუსვა მსგავსი რეგულირების არსებობის შესახებ დროული ინფორმირების მნიშვნელობას.

გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მიერ 2020 წლის 14 აპრილს გამოქვეყნებულ სტატუსთან დაკავშირებით, მის მიმართ დამატებით არ გამოყენებულა რაიმე სახის დისციპლინური სანქცია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული 2020 წლის 21 მაისის №02-22/191 წერილით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა განმარტა, რომ ჟურნალისტის კონკრეტულ საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვა უკავშირდებოდა მის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს, მათ შორის, მაუწყებლის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ და საზოგადოებისთვის მოწოდებას, მოეთხოვათ

⁵ №02-09/62 ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველზეად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლი (შრომის შინაგანაწესი), „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შრომის შინაგანაწესის 15.2, 15.4, 15.10, 15.11 და შრომის ხელშეკრულების 4.4 (დასაქმებულის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს შრომის კანონმდებლობითა და შრომის შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებები (გაფრთხილება, საყვედური, ფულადი ჯარიმა ხელფასის დაკავებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა) და 10.2 (შრომის შინაგანაწესი არის ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი) მუხლები.

მაუწყებლის გაუქმება. მაუწყებლის დირექტორის მიერ აპარატში წარმოდგენილი განმარტებით აგრეთვე გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებული სტატუსები მიჩნეულ იქნა თეონა თურმანიძესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-10 ნაწილის დარღვევად, რომლის თანახმადაც დასაქმებული ვალდებულია, არ ჩაიდინოს სამსახურში ან მის გარეთ (მათ შორის, სოციალურ ქსელში) სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია დამსაქმებლის თანამშრომლის ან დამსაქმებლის დისკრედიტაციისკენ“.

სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წლის 14 მაისის N04-2/4954 წერილით დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ იმ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ, რომლებსაც 2020 წლის განმავლობაში შეეზღუდათ კონკრეტულ საქმიანობასთან დაშვება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო. საპასუხო კორესპონდენციით (N02-22/193, 25/05/2020) დირექტორმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს დისციპლინური გადაცდომის გამო სანქციის სახით კონკრეტულ საქმიანობაზე დაშვება შეეზღუდა მხოლოდ ერთ თანამშრომელს - თეონა თურმანიძეს.

1.2. მალხაზ რეხვიაშვილის საქმე

2019 წლის 26 თებერვალს დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, მალხაზ რეხვიაშვილი იკავებდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის საღამოს გადაცემის წამყვან-რეპორტიორის პოზიციას. ამავდროულად, იგი წარმოადგენს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (ს/ნ:445575191) თავმჯდომარეს.

2020 წლის 21 აპრილს, მალხაზ რეხვიაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებული სტატუსით გამოეხმაურა თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების ფაქტს:

„Teo Turmanidze მოხსნეს ეთერიდან სოცქსელში მაუწყებლის დისკრედიტაციის გამო. მაუწყებელში მოქმედი შიდა წესი სოცქსელში ქცევის შესახებ დაარღვიო. დისკრედიტაციად აღიქვს კრიტიკა. გასაგებია, რომ ამ მენეჯმენტს არ ყოფნის კვალიფიკაცია იცნობდეს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის კრიტიკა გამოხატვის თავისუფლებით იმდენადაა დაცული, რომ ჟურნალისტის ამგვარი ქმედება ვერ დარეგულირდება. ეს გასაგებია და ვიცოდით.

მაგრამ

20 აპრილს რომ მიიღებ წესს, იმ წესით 13-14 აპრილის ქმედებაზე რომ ვერ დასჯი ადამიანს, ეს ხო არ მოითხოვს ჰარვარდის დიპლომს. ეს მოითხოვს დაწყებით განათლებას.

ჰოდა ამაშია საქმე.

ან დაწყებითი განათლება არ აქვს მენეჯმენტს, ან ფეხებზე კიდიათ სამართალი, იციან რა, რომ სასამართლოში საქმე გაიწელება და კორონავირუსის გამო საზოგადოება ყურადღებას ამ ქმედებებს ახლა ვერ მიაქცევს. სარგებლობენ მოკლედ.

მიდით, მოასწართ.

გადაივლის პანდემია და მოიცლის ხალხი. ვის როდის შერჩენია მედიის კონტროლი, რომ თქვენ შეგორჩეთ?!“⁶

⁶ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/318cGfi>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

2020 წლის 28 აპრილს, მაუწყებლის დირექტორმა, გიორგი კობრიძემ, მალხაზ რეხვიაშვილს №02-26/1004 წერილით მიმართა, რომელშიც მიუთითა, რომ ზემოხსენებულ სტატუსთან ერთად, დასაქმებულმა იმავე შინაარსის ინფორმაცია გაავრცელა აგრეთვე 2020 წლის 24 აპრილს, “TV პირველის“ სატელევიზიო გადაცემაში („ღამის ამბები“). მითითებული კორესპონდენციით, მალხაზ რეხვიაშვილს ეცნობა, რომ თეონა თურმანიძის სატელევიზიო ეთერში წამყვანის მოვალეობის შესრულებაზე დაშვების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი არ ყოფილა მაუწყებლის ვებგვერდზე 2020 წლის 20 აპრილს გამოქვეყნებული „სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს ეთხოვა, დაუყოვნებლივ მოეხდინა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებ(ებ)ით და ფორმით. ამასთან, წერილში ხაზი გაესვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ განახორციელებდა აღნიშნულ მოქმედებას, ჩაითვლებოდა, რომ განზრახ ავრცელებდა მაუწყებლის შესახებ ცრუ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას და მის მიმართ გატარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები (დაეკისრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა).

მოთხოვნის შესაბამისად, მომდევნო დღეს, მალხაზ რეხვიაშვილმა დამსაქმებელს წარუდგინა წერილობითი პოზიცია მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და განმარტა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული სტატუსი ასახავდა ვარაუდს, რაც ვერ ჩაითვლებოდა ტყუილად.

2020 წლის 11 მაისს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მაუწყებლის დირექტორს მიმართა №02-26/1050 რეკომენდაციით, მალხაზ რეხვიაშვილის მიმართ გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომა - სამსახურიდან დათხოვნა. რეკომენდაციის თანახმად, ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელში და სატელევიზიო ეთერში გავრცელებული ინფორმაცია, რომ *„Teo Turmanidze მოხსნეს ეთერიდან სოცქსელში მაუწყებლის დისკრედიტაციის გამო. მაუწყებელში მოქმედი შიდა წესი სოცქსელში ქცევის შესახებ დაარღვიო“* - მიჩნეულ იქნა მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ მიმართულ მცდარ ფაქტად, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ტელევიზიას. გამოქვეყნებული სტატუსის სწორედ აღნიშნული ნაწილი შეფასდა ცილისწამებად და განისაზღვრა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობად. რაც შეეხება სადავო სტატუსში ასახულ სხვა განცხადებებს, ისინი მიჩნეულ იქნა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ მოსაზრებებად.

დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის გამოყენების გასამართლებლად, რეკომენდაციაში აღინიშნა, რომ მალხაზ რეხვიაშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას მხარეთა სახელმძღვანელო პრინციპები დადგენილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, “მაუწყებელთა ქცევის კოდექსით” და “საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით”, რომლებიც მაუწყებლის შრომის შინაგანაწესთან ერთად, ადგენენ პროფესიულ სტანდარტებსა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს. რეკომენდაციის თანახმად, ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფა სწორედ ჟურნალისტთა უმთავრეს პრინციპს და პროფესიულ სტანდარტს წარმოადგენს. ამასთან, რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ რადგან მალხაზ რეხვიაშვილი შესაბამისი მიმართვის შემდეგაც არ ასწორებს მის მიერ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, აღნიშნული ხელს უშლის მაუწყებელს, აღასრულოს კანონი და შეიცავს აშკარა საფრთხეს, რომ იგი არ გაასწორებს სხვა

სუბიექტის შესახებ გავრცელებულ ცრუ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამდენად, საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის მოსაზრებით, რეხვიაშვილის მხრიდან იდგა დისციპლინური გადაცდომის კვლავ განმეორების საფრთხე. გარდა ამისა, რეკომენდაციის შესაბამისად, სადავო ქმედება წინააღმდეგობაში მოდიოდა მალხაზ რეხვიაშვილთან დადებულ შრომით ხელშეკრულებასთან (4.2), რომლის თანახმადაც დასაქმებული ვალდებულია არ ჩაიდინოს სამსახურში ან მის გარეთ (მათ შორის, სოციალურ ქსელში) სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია დამსაქმებლის თანამშრომლის ან დამსაქმებლის დისკრედიტაციისკენ.

რაც შეეხება სადავო ინფორმაციის გავრცელების შედეგად, მაუწყებლისთვის მიყენებულ ზიანს, რეკომენდაციის თანახმად, აღნიშნული გამოიხატა საზოგადოებრივი მაუწყებლების თანამშრომლებისა და საზოგადოების ფართე ფენების შეცდომაში შეყვანაში, რაც იწვევს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ნდობის შემცირებას.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა გაიზიარა ზემოხსენებულ რეკომენდაციაში განვითარებული მსჯელობა და შედეგად, 2020 წლის 11 მაისის №02-05/56 ბრძანებით, მალხაზ რეხვიაშვილი გაათავისუფლა დაკავებული პოზიციიდან.⁷

როგორც აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2020 წლის 25 მაისის N02-22/193 კორესპონდენციით ირკვევა, შრომითი ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის პირობების უხეში დარღვევის გამო მიმდინარე წელს მაუწყებლიდან გათავისუფლდა სამი პიროვნება - მალხაზ რეხვიაშვილი, შორენა ლლონტი და თეონა ბაკურიძე. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 24 აპრილის N04-2/4408 რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა მაუწყებელში დაკავებული პირვანდელი პოზიციებიდან შორენა ლლონტისა და თეონა ბაკურიძის გათავისუფლება/გადაყვანა კანონის მოთხოვნათა დარღვევად მიიჩნია. ამასთან, ორივე მათგანი წარმოადგენდა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (ს/ნ:445575191) წევრს და სახალხო დამცველის აპარატისთვის მიცემულ განმარტებებში მიუთითებდა, რომ პირვანდელი პოზიციებიდან მათი გათავისუფლება ემსახურებოდა ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას და წარმოადგენდა მაუწყებელში დასაქმებული კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების დევნის მაგალითს.

1.3. სოფიო ჟღენტის საქმე

2018 წლის 31 ოქტომბერს დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, სოფიო ჟღენტი იკავებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ონლაინ მედიის სამსახურის უფროსის პოზიციას. ამავდროულად, იგი წარმოადგენს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (ს/ნ:445575191) გამგეობის წევრს.

სოფიო ჟღენტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დგინდება, რომ მისი შრომითი მოვალეობები განისაზღვრებოდა ონლაინ მედიის სამსახურის დებულებით.

⁷ გამოცემული ბრძანების საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ შინაგანაწესის მე-16 მუხლის 16.1 ნაწილი და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულების შესაბამისი ნორმები.

გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის წარმოშობის დროისთვის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ ონლაინ მედიის სამსახურის, ისევე, როგორც მისი უფროსის ფუნქციები დარეგულირებული იყო მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის №02-03/37 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

მაუწყებლის დირექტორის 2020 წლის 8 აპრილის №02-03/09 ბრძანების შესაბამისად, სამსახურის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დამტკიცებულ იქნა ონლაინ მედიის სამსახურის ახალი დებულება. შედეგად, სამსახურს ჩამოერთვა ვებ-საიტისთვის დამოუკიდებელი შინაარსის/პროგრამების შექმნის ფუნქცია, ხოლო მისი უფროსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა ვებ-გვერდზე ახალი გვერდის (რუბრიკის) დამატების იდეით მაუწყებლის დირექტორისთვის მიმართვის, ვებ-საიტის მიმართულებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვანი შესრულების ზედამხედველობისა და ვებ-საიტისთვის ტექნიკურად მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესებზე მორგებული პროგრამების განთავსების კოორდინაციის უფლებამოსილება. ამასთან, ცვლილების საფუძველზე, შემცირდა სამსახურში დასაქმებულ პირთა წრე (სამსახურის უფროსი, ვებ-საიტის რედაქტორი, ვებ-საიტის განახლების/მართვის სპეციალისტი, ვებ-საიტის განახლების/მართვის სპეციალისტი უცხოეთის მიმართულებით, სოციალური ქსელის განახლების/მართვის სპეციალისტი და ვებ-რეპორტიორი) და შესაბამის ჩამონათვალს გამოაკლდა ვებ-საიტის რედაქტორი და ვებ-რეპორტიორი. აღსანიშნავია, რომ მითითებული პირები უზრუნველყოფდნენ ვებგვერდზე განსათავსებელი ახალი ამბების, სტატიების, რეპორტაჟებისა და სხვაგვარი მასალების მომზადებას და მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სამსახურის უფროსის დავალებების შესრულებას. ამდენად, 2020 წლის 8 აპრილს გატარებულმა ცვლილებამ თავისთავად გამოიწვია სამსახურის უფროსის იმ უფლებამოსილების გავრცელების არეალის შეკვეცა, რაც სამსახურში დასაქმებული პირების საქმიანობის ორგანიზების გაწევას გულისხმობს და რომელიც, შენარჩუნებულია ახალ დებულებაშიც. მას აგრეთვე ჩამოერთვა რედაქტორისა და რეპორტიორისთვის სამსახურებრივი მითითებების/დავალებების მიცემის უფლებამოსილება.

ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად, ონლაინ მედიის სამსახურის უფროსის მიერ შესასრულებელ სამუშაოებში, ძირითადად, სხვა სამსახურების მიერ შექმნილი სატელევიზიო და რადიო პროგრამების ონლაინ სივრცეში განთავსების ორგანიზებასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებული საკითხები დარჩა.

თავის მხრივ, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 6 აპრილის №02-03/08 ბრძანებით დამტკიცებული ახალი ამბების სამსახურის დებულების თანახმად, ვებკონტენტის მომზადების ფუნქცია სწორედ აღნიშნულ სამსახურის რედაქტორებსა და რეპორტიორებს გადაეცათ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი განმარტებით, ონლაინ მედიის სამსახურის დებულების შეცვლას სოფიო ჟღენტის, როგორც სამსახურის უფროსის შესასრულებელი სამუშაოს შეცვლა არ გამოუწვევია. კერძოდ, დირექტორის მითითებით, სამსახურის უფროსის შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალიდან განხორციელდა მხოლოდ ზოგიერთი პუნქტის დაზუსტება და ორი პუნქტის („ვებ-საიტზე ახალი გვერდების (რუბრიკების) დამატების იდეებს წარუდგენს მაუწყებლის დირექტორის“ და „უზრუნველყოფს

ვებ-საიტის მიმართულებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვანი შესრულების ზედამხედველობას“) ამოღება, რომელიც სხვა ასპექტებით ისედაც შენარჩუნებული და გათვალისწინებულია.⁸ შესაბამისად, მაუწყებლის დირექტორს აპარატისთვის არ მოუწოდებია აღნიშნული პროცესების თაობაზე განმცხადებლის წინასწარი ინფორმირების ან/და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით, მისგან შესაბამისი თანხმობის მიღების ამსახველი დოკუმენტის ასლი.

1.4. თეონა ხარაბაძის საქმე

N02-15/2018-168 შრომითი ხელშეკრულების თანახმად, თეონა ხარაბაძე იკავებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ „ახალი ამბების სამსახურის“ რეპორტიორის პოზიციას. მის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს თემების შერჩევას, თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებას, გადაღებების დაგეგმვას და გადაღებების, stand up-ებისა და პირდაპირი ჩართვებისთვის მთელი რიგი საკითხების განსაზღვრვას ოპერატორთან ერთად. ხელშეკრულებით ძირითად სამუშაო ადგილებად განსაზღვრულია ქალაქი ბათუმი და ქალაქი ქუთაისი. ამავდროულად, იგი წარმოადგენს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (ს/ნ:445575191) გამგეობის წევრს.

2020 წლის 23 მარტს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის N02-26/865 კორესპონდენციით თეონა ხარაბაძეს ეცნობა, რომ ამავე წლის 25 მარტიდან, რეპორტიორის მოვალეობები განეხორციელებინა ქალაქ ქუთაისში. განმცხადებელს იქვე განემარტა, რომ ვიდეო-ოპერატორის არყოფნის განმავლობაში რეპორტიორის მოვალეობა შეესრულებინა მხოლოდ რადიოსა და ვებ-მაუწყებლობისთვის.

განმცხადებლის მითითებით, იგი დაკისრებულ მოვალეობას ქალაქ ქუთაისში მხოლოდ პარლამენტის ფუნქციონირების დროს ასრულებდა და მისი საქმიანობა უწყებაში მიმდინარე მოვლენების დამუშავებით შემოიფარგლებოდა.

საკითხთან დაკავშირებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი განმარტავს (N02-22/191, 21.05.2020), რომ ზემოაღნიშნული წერილის საფუძველზე არ მომხდარა თეონა ხარაბაძისთვის პოზიციის შეცვლა და ვერ განხორციელდებოდა მისი სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში გადაყვანა, რადგან იგი შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად 2020 წლის 23 მარტამდე წარმოადგენდა რეპორტიორს ქალაქ ქუთაისში და მისი შრომითი ხელშეკრულება არ შეცვლილა. კერძოდ, წერილში ხაზგასმულია, რომ თეონა ხარაბაძესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მაუწყებლის დაარსებიდან დღემდე დასაქმებული მუშაობს რეპორტიორად ქალაქ ქუთაისში და მაუწყებელში არ ფიქსირდება რაიმე დოკუმენტი თუ როდის, რა მიზნით ან რა ვადით მოხდა მისი დროებით გამოძახება ბათუმში. ამასთან, გიორგი კობრეიძის მითითებით, ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე მაუწყებელს ესაჭიროება რეპორტიორი საქართველოს რამდენიმე მსხვილ ქალაქში, ვინაიდან პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად, მაუწყებელი „მნიშვნელოვნად უნდა ფოკუსირდეს საქართველოს რეგიონების ცხოვრებაზე“.

⁸სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 მაისის №02-22/191 წერილი.

საქმესთან დაკავშირებით 2020 წლის 17 ივნისს ჩატარებული გამოკითხვისას, თეონა ხარაბაძემ განმარტა, რომ იგი, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბათუმში სამუშაოდ გადავიდა 2 წლის წინ და მას შემდეგ ქუთაისში ჩადიოდა მხოლოდ 2 კვირაში ერთხელ, როდესაც პარლამენტის შენობაში სესიები იმართებოდა. სწორედ ამ მიზეზით მიეთითა შრომით ხელშეკრულებაში სამუშაო ადგილებად ქალაქი ბათუმი და ქალაქი ქუთაისი. ხოლო, მას შემდეგ, რაც პარლამენტის ადგილსამყოფელად კვლავ ქალაქი თბილისი განისაზღვრა, იგი სამსახურებრივ უფლებამოსილებებს მხოლოდ ქალაქ ბათუმში ასრულებდა, სადაც იგი დაქორწინდა და დღემდე ცხოვრობს ოჯახთან ერთად. განმცხადებლის განმარტებით, 02-26/865 წერილის მიღებამდე, დამსაქმებელს მასთან კონსულტაცია არ გაუვლია. ამასთან, ქალაქ ქუთაისში იგი არ არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი და სამუშაო სივრცით, ასევე - ოპერატორით, რის გამოც, მისი საქმიანობა ამჟამად შემოიფარგლება ქალაქ ქუთაისში მიმდინარე უმნიშვნელო მოვლენების დისტანციურად (ქალაქ ბათუმიდან), წერილობითი სახით დამუშავებით, რაც, განმცხადებლის შეფასებით, ფაქტობრივად, წარმოადგენს მის ჩამოშორებას აქტიური ჟურნალისტური საქმიანობისგან, ვინაიდან აღნიშნულ ცვლილებამდე იგი მთელ რიგ აქტუალურ მოვლენებს აშუქებდა, მათ შორის, სიუჟეტებისა და ჩართვების სახით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებ-გვერდზე თეონა ხარაბაძის მიერ მომზადებული პუბლიკაციების ველი,⁹ რომელზეც ავტორის შესახებ მითითებულია, მათ შორის, ისიც რომ იგი იყო მაუწყებლის საპარლამენტო კორესპონდენტი. ამასთან, მასალების ანალიზით დგინდება, რომ 2020 წლის 25 მარტიდან 2020 წლის 25 ივნისამდე პერიოდში თეონა ხარაბაძეს მომზადებული აქვს 19 პუბლიკაცია მაშინ, როდესაც წინა 3-თვიან პერიოდში (2019 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 25 მარტამდე) მის მიერ მომზადებული პუბლიკაციების რაოდენობა 124-ს უტოლდებოდა. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის განსახილველი გადაწყვეტილების შემდეგ თეონა ხარაბაძის მიერ მომზადებულ არცერთ პუბლიკაციას არ ახლავს საავტორო ვიდეო-მასალა. 2020 წლის 25 მარტამდე კი, განმცხადებლის მიერ მომზადებული სიუჟეტები ეთერში დღეში რამდენჯერმე გადიოდა, არ შემოიფარგლებოდა ბათუმისა თუ ქუთაისის არეალით და ფარავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა, მაგალითად: საარჩევნო სისტემა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნები, კორონავირუსი, მკაცრი საკარანტინო რეჟიმი მარნეულსა და ბოლნისში.¹⁰ ამასთან, იგი აქტიურად ერთვებოდა პირდაპირ ეთერში ჩართვებით.¹¹ თეონა ხარაბაძის მიერ მომზადებული მასალა მოიცავდა, აგრეთვე, ქალაქ ბათუმთან დაკავშირებულ ახალ ამბებს.¹² ქალაქ ქუთაისთან დაკავშირებით კი 2020 წლის 25 მარტამდე შედარებისთვის შესწავლილ 3-თვიან პერიოდში მის მიერ არცერთი ახალი ამბავი არ მომზადებულა. თეონა ხარაბაძის მიერ ქუთაისიდან მომზადებული ბოლო მასალა 2018 წლის 28 დეკემბრით თარიღდება და შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ ქუთაისში გამართულ ბოლო სესიას.¹³ 2018 წლის განმავლობაში მომზადებული

⁹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/author/18>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹⁰ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/57034>>; <<https://ajaratv.ge/article/57038>>; <<https://ajaratv.ge/article/56879>>; <<https://ajaratv.ge/article/56778>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹¹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/57015>>; <<https://ajaratv.ge/article/57031>>; <<https://ajaratv.ge/article/56974>>; <<https://ajaratv.ge/article/56966>>; <<https://ajaratv.ge/article/56951>>; <<https://ajaratv.ge/article/56869>>; <<https://ajaratv.ge/article/56777>>; <<https://ajaratv.ge/article/56327>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹² ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/56816>>; <<https://ajaratv.ge/article/54809>>; <<https://ajaratv.ge/article/54762>>; <<https://ajaratv.ge/article/54738>>; <<https://ajaratv.ge/article/54078>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹³ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/37117>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

მასალების უმეტესობა ქალაქ ბათუმში და მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. თვალნათლივ განსხვავებული სურათია წინა წლების მონაცემებში, რომელთა განმავლობაშიც თეონა ხარაბაძის მიერ გაშუქებული ამბების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში მიმდინარე მოვლენებს ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის წევრების მიერ გამოხატულ პოზიციებს უკავშირდება.

თეონა ხარაბაძე მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს მის მიერ ტელევიზიის მენეჯმენტის მიმართ გამოხატულ კრიტიკას და ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრობას უკავშირებს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჟურნალისტი, რომელიც მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებს აპროტესტებდა. მათ შორის, იგი მონაწილეობდა შორენა ღლონტის გათავისუფლების შემდეგ პირდაპირ ეთერში გამართულ აქციაში „აჭარის მაუწყებელში სუს-ია“.¹⁴ ამასთან, თეონა ხარაბაძე ღიად გამოხატავდა თავის კრიტიკულ პოზიციას მენეჯმენტის მიერ მიღებული სარედაქციო და საკადრო გადაწყვეტილებების შესახებ სხვადასხვა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუებში,¹⁵ მათ შორის - უშუალოდ აჭარის ტელევიზიის ეთერში მრჩეველთა საბჭოს წევრების წინაშე.¹⁶ შესაბამის ჩართვებში განმცხადებელი ხაზს უსვამდა, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტთა ნაწილმა დააარსა ალტერნატიული პროფესიული კავშირი, რომლის მეშვეობითაც აპირებდნენ საკუთარი შრომითი უფლებების დაცვას და ემზადებოდნენ, მათ შორის, საგაფიცვო პროცედურებისთვის.¹⁷ გარდა ამისა, იგი თავისი ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში ამზადებდა კრიტიკულ სიუჟეტებს, მათ შორის, მენეჯმენტის ახალი წევრების შესახებ. მაგალითად, თეონა ხარაბაძემ მოამზადა მასალა აჭარის მაუწყებლის ახალი ამბების რედაქტორად ნინო ხაჭომიას დანიშვნის თაობაზე მედიაში გაჩენილი კითხვების თაობაზე და სწორედ მის მიერ მომზადებულ სიუჟეტში გავიდა ნინო ხაჭომიას მიერ ინტერვიუს ჩაწერისას გაჟღერებული არაეთიკური გამონათქვამი.¹⁸

განმცხადებელი დამატებით მიუთითებს, რომ დირექტორთან ერთ-ერთი შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მისი ქალაქ ქუთაისში გადაყვანა წარმოადგენდა მის დასჯას 2020 წლის 6 მარტის ინციდენტის გამო, როდესაც თანამშრომლების ნაწილი დაუპირისპირდა ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს გ. ა-ს და რაც შემდგომში თეონა ბაკურიძის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. ზემოაღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდება, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორისადმი 2020 წლის 12 მარტს წარდგენილ განცხადებაში მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გ. ა. აღწერდა რა თანამშრომლების ნაწილის მასთან დაპირისპირებას, თეონა ბაკურიძის ქმედებების აღწერის შემდეგ, მიუთითებდა, რომ პროცესში ჩაერთო რეპორტიორი თეონა ხარაბაძე, რომელიც მას

¹⁴ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.facebook.com/TVFormula/videos/190445118887440/?v=190445118887440>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹⁵ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.facebook.com/TVFormula/videos/190445118887440/?v=190445118887440>>; <<https://www.youtube.com/watch?v=pr6wM0pjvwE>>; <<http://rustavi2.ge/ka/news/156919>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹⁶ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.facebook.com/AjaraTV/videos/542650676601620/?v=542650676601620>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹⁷ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://www.facebook.com/TVFormula/videos/190445118887440/?v=190445118887440>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

¹⁸ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/55962>>; <<https://ajaratv.ge/article/55961>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

ეკითხებოდა თუ რატომ დაწერა დაფაზე თემები და ხაზს უსვამდა, რომ იცოდა, 2018 წელს წყალტუბოს საკრებულოში მუშაობის დაწყება რომ სცადა [გ.ა.-მ]. აღნიშნულის შემდეგ, იგი განმარტავს, რომ სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა, თითქმის ყველა ერთად ყვიროდა და ითხოვდა მისგან პასუხს, როგორ გაბედა და დათანხმდა ამ შემოთავაზებას, როგორ გაბედა დაეკავებინა სხვისი ადგილი.

სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა ასევე განმცხადებლების მიერ დასახელებულ პროფესიული კავშირის წევრობის დაცულ ნიშანთან დაკავშირებით. საპასუხო კორესპონდენციით, აპარატს ეცნობა, რომ მაუწყებელს კოლექტიური ხელშეკრულება გაფორმებული აქვს აჭარის ტელევიზიის და რადიოს პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციასთან; ხოლო, ალტერნატიული პროფესიული კავშირის შესახებ აღნიშნა, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობა მისი წევრების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. აღსანიშნავია, რომ აჭარის მაუწყებელში ალტერნატიული პროფკავშირის შექმნისა და მისი წევრების მიერ გაკეთებული პირველი განცხადების შესახებ ინფორმაცია თავად აჭარის ტელევიზიით გაშუქდა და დღესაც არის ხელმისაწვდომი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.¹⁹ ამასთან, 2020 წლის 2 მარტს ალტერნატიულმა პროფესიულმა კავშირმა ოფიციალურად წარადგინა საგაფიცვო დოკუმენტი.²⁰ 18 მარტს კოლექტიური დავის ფარგლებში მედიატორი დაინიშნა. მოგვიანებით კი, დირექტორმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი მედიაციის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა.²¹

მალხაზ რეხვიაშვილს, სოფიო ჟღენტს და თეონა ხარაბაძეს სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნით რამდენიმე სარჩელი აქვთ წარდგენილი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომელთა მიმართებაც სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებელთა მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის თაობაზე მიმდინარე საქმის წარმოებასთან ქვემოთ იქნება დეტალურად განხილული.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. შრომის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება²² სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტია,²³ რომელიც, მათ შორის, იცავს უფლებას, აირჩიო, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისგან და ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.²⁴

¹⁹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://ajaratv.ge/article/54660?fbclid=IwAR2c0IvfZt0EZQY5XLoxL5-8IY66EG0I0I6f5b5dTRntvlczhR4HAj6FaE>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

²⁰ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3gEJIs9>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

²¹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://www.ajaratv.ge/article/57240>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

²² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26.

²³ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „მწვანე ალტერნატივა“, პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, თბილისი, 2015, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2UXDsDD>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II.3.19

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით,²⁵ რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი მოწესრიგება ასახულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. კერძოდ, პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.²⁶ დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები შრომითი უფლებების დარღვევისგან დასაქმებულთა დასაცავად.²⁷

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არ განსაზღვრავს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების გზით, შრომითი უფლების შეზღუდვის წესს და აღნიშნულს სრულად მიაკუთვნებს შინაგანაწესით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს.²⁸ მიუხედავად ამისა, კოდექსი ამ შემთხვევაშიც ქმნის დასაქმებულთა მინიმალური დაცვის გარანტიას და ადგენს, რომ შრომითი ურთიერთობისას (მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას), მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.²⁹ ამდენად, წინამდებარე საქმეების შეფასების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს დასაქმებულის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და აღნიშნული უფლების შეზღუდვის სტანდარტი.

2.2. გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო და უფლების შეზღუდვის სტანდარტი

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.³¹

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.³² მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

²⁵ მათ შორის, იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენცია დასაქმების შეწყვეტის შესახებ.

²⁶ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1.

²⁷ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2xjkoXB>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

²⁸ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 13, ნაწილი 2, „ზ“ ქვეპუნქტი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №ას-344-322-2017 განჩინება.

²⁹ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 6.

³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *I.A. v. Turkey*, პარ. 23.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26.

³² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

დაცვის კონვენციით³³ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.³⁴

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტარების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის, აგრეთვე ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების გზით.³⁵

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.³⁶ ასეთ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები (რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა), წიგნები, პოსტერები და ბანერები, აგრეთვე ელექტრონული და ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.³⁸

გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდებები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.³⁹

გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

³³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

³⁴ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

³⁵ ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3cxa25r>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2XOec35>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.56.

³⁷ იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

³⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48.

³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49.

⁴⁰ უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები გაწერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის⁴¹ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის⁴² თანახმად.

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამსაფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია აგრეთვე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში.⁴³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „აუცილებლობის“ ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობასთან. ამგვარი საჭიროების არსებობის შეფასებისას, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული მიხედულების ფარგლებით, რაც არ არის შეუზღუდავი და მის საფუძველზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი ტესტით ფასდება.⁴⁴ გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო მიხედულების ფარგლები სხვადასხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადავო გამოხატვის ტიპი. სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონვენცია შეზღუდვების დაწესების მეტად მცირე სივრცეს ტოვებს იმგვარ გამოხატვაზე, რომელიც საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს შეეხება.⁴⁵

შეზღუდვის „აუცილებლობის“ დასადასტურებლად, უნდა დადგინდეს, რამდენად წარმოადგენს უფლების მზღუდავი ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას და რამდენად აკმაყოფილებს მისი გამოყენების დასაბუთება რელევანტურობისა და საფუძვლიანობის მოთხოვნებს.⁴⁶

გასათვალისწინებელია, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება სამუშაო ადგილზე და ამდენად, დასაქმებულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. თუმცა, ამავდროულად, მათ დამსაქმებლის მიმართ ლოიალურობის, თავშეკავებისა და კეთილგონიერების

⁴⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

⁴¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

⁴² სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

⁴³ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis Ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary* პარ. 159.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Sekmadienis Ltd. v. Lithuania*, პარ. 71; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary* პარ. 31.

გამოჩენის ვალდებულება აკისრიათ.⁴⁷ აღნიშნული შესაძლებელს ხდის, დამსაქმებელმა დაარეგულიროს დასაქმებულთა ქცევა და მათ შორის, შეზღუდოს გარკვეული ხასიათის გამოხატვა (რაც, მაგალითად, მიმართულია სამსახურის რეკუტაციის დაზიანებისკენ). თავის მხრივ, მსგავსი მოწესრიგება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებთან და არ უნდა იძლეოდეს ამ უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევისა და შედეგად, დასაქმებულის შრომითი უფლებების დარღვევის საფუძველს.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ დასაქმებულისთვის შესაძლოა, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ცნობილი გახდეს ორგანიზაციასთან დაკავშირებული ისეთი შიდა ინფორმაცია, რომლის გახმაურება ან გასაჯაროება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საჯარო სექტორში დასაქმებული პირების მხრიდან სამსახურში არსებული უკანონო ქმედებების შესახებ საუბარი, გარკვეულ შემთხვევებში, დაცულობით სარგებლობს. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, როდესაც დასაქმებული ერთადერთი ადამიანია, ან პირთა იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც ინფორმირებულნი არიან, თუ რა ხდება სამუშაო ადგილას და ამიტომ, შეუძლია, იმოქმედოს საჯარო ინტერესების ფარგლებში და მოახდინოს დამსაქმებლის ან საზოგადოების ინფორმირება.⁴⁸

სწორედ ამიტომ, წინამდებარე საქმეების შეფასებისას, არსებითია, გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს გათვალისწინებით, შეფასება მიეცეს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ თანამშრომლების ლოიალურობის ფარგლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, როდესაც დასაქმებულის გამოხატვის თავისუფლება ბალანსდება დამსაქმებლის მიერ მენეჯერული უფლებამოსილების განხორციელების საპირწონედ, უფლებაზე დაწესებული შეზღუდვის პროპორციულობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები:⁴⁹

1. *არსებობს თუ არა გავრცელებული ინფორმაციის მიმართ საჯარო ინტერესი.* როგორც აღინიშნა, იმგვარ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებს, გამოხატვის თავისუფლებით დაცულობის ხარისხი მაღალი, ხოლო სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვიწროა.⁵⁰
2. *არის თუ არა გავრცელებული ინფორმაცია უტყუარი.* სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ სათანადო ღონისძიებები ცილისმწამებლური ბრალდებების წინააღმდეგ, რომელიც მოკლებულია საფუძველს ან ფორმულირებულია არაკეთილსინდისიერად;
3. *რა სახის ზიანი განიცადა ორგანიზაციამ სადავო ინფორმაციის გავრცელებით.* კერძოდ, უნდა შეფასდეს, გადაწონის თუ არა მიყენებული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ საჯარო ინტერესს, რაც სავადო ინფორმაციის გავრცელების მიმართ არსებობდა;

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 70.

⁴⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 72.

⁴⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Guja v. Moldova*, პარ. 73-78.

⁵⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary* პარ. 159.

4. რა მოტივი ამოძრავებდა დასაქმებულს ინფორმაციის გამჟღავნებისას. მაგალითად, პერსონალური შუღლით ან რაიმე სახის სარგებლის მიღების მოლოდინით მოტივირებული ქმედება ვერ გაამართლებს დაცულობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს. მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ გამჟღავნებისას, ინდივიდი მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რწმენით, რომ ინფორმაცია იყო სწორი, არსებობდა მის მიმართ საჯარო ინტერესი და დანაშაულებრივი ქმედების გამოსწორების სხვა, უფრო ფრთხილი საშუალება მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

5. პირველ რიგში, განხორციელდა თუ არა სადავო ინფორმაციის მიწოდება უფროსისთვის ან კომპეტენტური ორგანოსთვის. მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული აშკარად არაპრაქტიკულია, ინფორმაცია შესაძლოა გასაჯაროვდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება;

6. რა სიმძიმის სანქცია იქნა გამოყენებული პირის წინააღმდეგ.

2.3. თანასწორობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.⁵¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ემლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.⁵²

3. მალხაზ რეხვიაშვილის, თეონა თურმანიძის, სოფიო ჟენტისა და თეონა ხარაბაძის უფლებების დარღვევის დასაბუთება

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 1.

⁵² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Eweida and others v. United Kingdom*, პარ. 87-88; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Burden v. United Kingdom*, პარ. 60.

3.1. მალხაზ რეხვიაშვილის შრომითი უფლებების დარღვევა

მალხაზ რეხვიაშვილის საქმის შეფასების მიზნებისთვის, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ განსაკუთრებულ სტატუსს. კერძოდ, იმ გარემოებას, რომ აჭარის ტელევიზია არის საჯარო დაფინანსებით მოქმედი მაუწყებელი, რომლის შექმნის მიზანსაც გავლენებისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი და მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება წარმოადგენს. შესაბამისად, მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, *a priori*, ექცევა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში.

მოცემულ შემთხვევაში, მალხაზ რეხვიაშვილის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებული სადავო სტატუსი შეეხებოდა მაუწყებლის მენეჯმენტის მისამართით კრიტიკული პოზიციის გამო თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებულ სანქციას, რომელიც ჟურნალისტის შეფასებით, გაუმართლებელი იყო. შესაბამისად, მითითებული განცხადება უკავშირდებოდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ დასაქმებული პირის შრომითი უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის საკითხს, რაც მით უფრო, ტელეკომპანიის გარშემო ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების⁵³ გათვალისწინებით, განეკუთვნება საჯარო ინტერესის სფეროს.

ამავდროულად, მალხაზ რეხვიაშვილის უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასებისთვის, ხაზი უნდა გაესვას მის პროფესიულ როლს. კერძოდ, ჟურნალისტებს საზოგადოებაში აკისრიათ განსაკუთრებული ფუნქცია, ხელი შეუწყონ საჯარო დებატებს და გაავრცელონ ამ სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია.⁵⁴ გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მხრიდან მაუწყებლის ერთ-ერთი თანამშრომლის უფლებების დარღვევის თაობაზე საუბარის მიმართ შემწყნარებლობის გამოჩენას კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს მის მიერ ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირში“ დაკავებული პოზიცია, რომლის მიზანიც პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობაა.⁵⁵

რაც შეეხება მალხაზ რეხვიაშვილის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის უტყუარობას, შესაბამისი დისციპლინური წარმოების მასალები ცხადყოფს, რომ გავრცელებული განცხადების მხოლოდ შემდეგი ნაწილი: „*Teo Turmanidze მოხსნეს ეთერიდან სოცქსელში მაუწყებლის დისკრედიტაციის გამო. მაუწყებელში მოქმედი შიდა წესი სოცქსელში ქვევის შესახებ დაარღვიო*“ - იქნა მიჩნეული მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ მიმართულ მცდარ ფაქტად, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ტელევიზიას. სწორედ აღნიშნული შეფასდა ცილისწამებად, რაც განმცხადებლის გათავისუფლებას დაედო საფუძვლად. ამდენად, სახალხო დამცველი შეაფასებს საჯაროდ გამოქვეყნებულ სტატუსში ასახულ მხოლოდ ხსენებულ წინადადებებს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განსახილველი განცხადების პირველი ნაწილი: „*Teo Turmanidze მოხსნეს ეთერიდან სოცქსელში მაუწყებლის დისკრედიტაციის გამო*“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მცდარ ფაქტად, რამდენადაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანების თანახმად, თეონა თურმანიძეს სატელევიზიო საქმიანობაზე დაშვება დროებით შეეზღუდა, რადგან „სოციალური

⁵³ იხ. წინამდებარე დოკუმენტის 3.3. თავი.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Wojtas-Kaletka v. Poland*, პარ. 46.

⁵⁵ „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2, ნაწილი 1.

ქსელის (facebook) საკუთარ ანგარიშზე 2020 წლის 10 და 11 აპრილს საჯაროდ გამოაქვეყნა მათუწყებლის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები/სტატუსები“.

რაც შეეხება გამონათქვამს: „მაუწყებელში მოქმედი შიდა წესი სოცქსელში ქვევის შესახებ დაარღვიო“ - იკვეთება საჭიროება, განისაზღვროს, მსჯელობას („აზრს“) წარმოადგენს იგი თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“.

„აზრი“ შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას, არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს⁵⁶ და რომლის მართებულობა ან მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. რაც შეეხება „ფაქტს“, მის ქვეშ მოიაზრება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები, რომელთა გადამოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია.⁵⁷ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო) უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტების შესახებ განცხადებას.⁵⁸

აზრისა და ფაქტის გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან „აზრის თავისუფლება“ დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის.⁵⁹

ხშირად, აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ამიტომ, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია, შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი.⁶⁰ რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, საქმე შეეხება საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხს და ამასთან, გავრცელებული განცხადების ადრესატს წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მათუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორი, რომელიც საჯარო პირია,⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს, რამდენად იყო შესაძლებელი თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძვლის ინტერპრეტირება იმ აზრით, რაც გატარებულია სადავო განცხადებაში.⁶²

მსგავსი შეფასების მიზნებისთვის, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საზოგადოებაში ჟურნალისტის როლი გამორიცხავს მათ სტანდარტულ ბოჭვას

⁵⁶ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1, „ბ“ ქვეპუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Lingens v. Austria*, პარ. 46

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის №ას-1366-2019 განჩინება.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის №ას-1857-2018 განჩინება.

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის №ას-1366-2019 განჩინება.

⁶¹ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1, „ი“ ქვეპუნქტი; „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, „ლ“² ქვეპუნქტი.

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის №ას-1366-2019 განჩინება.

კონფიდენციალურობისა და კეთილგონიერების ვალდებულებებით.⁶³ ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუღებელი იქნებოდა, ჟურნალისტებს ჩამორთმეოდან კრიტიკული შეფასებითი მსჯელობების გამოხატვის შესაძლებლობა, როდესაც მათ მართებულობას ვერ ადასტურებენ, რაც გამომდინარეობს მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ბუნებიდან, საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება.⁶⁴

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ გარშემო ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები⁶⁵ მიუთითებს, რომ მაუწყებლის თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან კითხვის ნიშნები გაჩნდა ტელევიზიაში დასაქმებული პირების შრომითი უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნების საკითხებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ მაუწყებლის კრიტიკულად განწყობილ თანამშრომელთა ნაწილი აქტიურად მიუთითებს მენეჯმენტის მხრიდან განხორციელებულ დევნაზე.⁶⁶

ამგვარი ექვები კიდევ უფრო გაამძაფრა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ დამტკიცებამ, რაც მაუწყებლის ვებგვერდზე 2020 წლის 20 აპრილს გამოქვეყნდა. ახლად მიღებული წესების საფუძველზე, მაუწყებელში დასაქმებულ პირებს შეეზღუდათ ინტერნეტში თავისუფალი აქტივობა, მათ შორის, სხვადასხვა მასალის, ინფორმაციისა თუ მოსაზრებების დაფიქსირება და დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური სანქცია (გაფრთხილება, საყვედური, დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან, სამსახურიდან დათხოვნა და კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაშვების შეზღუდვა). მალხაზ რეხვიაშვილმა, როგორც ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარემ, სხვა პირებთან ერთად, მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ზემოხსენებული წესების ცალკეული დებულებების გაუქმება მათ საფუძველზე მაუწყებლის თანამშრომლების გამოხატვის, შრომისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევის გამო.⁶⁷ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული სტატუსის შინაარსის გამო, თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქცია გამოყენებულ იქნა დასახელებული წესების გამოქვეყნების მომდევნო დღეს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანებაში, რომლითაც თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სანქცია და დროებით შეეზღუდა სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვება, მითითებული არ არის, თუ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელი ვალდებულება დაირღვა მისი მხრიდან სადავო სტატუსების გამოქვეყნებით. ბრძანება შრომითი ხელშეკრულების მხოლოდ 4.4 (დასაქმებულის მიერ თავისი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისას დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს შრომის კანონმდებლობითა და შრომის შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებები) და 10.2 (შრომის შინაგანაწესი არის ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი) მუხლებზე აკეთებს

⁶³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary*, პარ. 39.

⁶⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dalban v. Romania*, პარ. 49.

⁶⁵ იხ. წინამდებარე დოკუმენტის 3.3. თავი.

⁶⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/37ZvyPm>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁶⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/305uLdy>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

მითითებას. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული განმარტებით, თეონა თურმანიძის სადავო ქმედებები მიჩნეულ იქნა მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-10 ნაწილთან საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც, დასაქმებული ვალდებულია, არ ჩაიდინოს სამსახურში ან მის გარეთ (მათ შორის, სოციალურ ქსელში) სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია დამსაქმებლის თანამშრომლის ან დამსაქმებლის დისკრედიტაციისკენ.⁶⁸

საყურადღებოა ისიც, რომ №02-09/62 ბრძანების თანახმად, თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველს მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების 4.4. და 10.2. მუხლებთან ერთად, შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს. მსგავსი ჩანაწერი არ გამორიცხავს იმ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას, რომ სადავო ქმედებები მიჩნეულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესების“ დარღვევად. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ ხსენებული წესები წარმოადგენს მაუწყებლის შინაგანაწესის და შესაბამისად, თითოეული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.⁶⁹ თავის მხრივ, მითითებული წესებით აკრძალულ ქმედებას განეკუთვნება ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში აქტივობისას მაუწყებლის/მისი საქმიანობის უსაფრთხოებასთან, იმიჯთან, კორპორატიულ პოლიტიკასთან, საწარმოო და სამაუწყებლო პროცესთან, ასევე სამუშაო პროცედურებთან დაკავშირებული მასალის/ინფორმაციის გავრცელება.⁷⁰ შესაბამისად, თეონა თურმანიძის მიერ გავრცელებული საჯარო სტატუსები, ფორმალური თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლის მოქმედების ფარგლებშიც ექცევა.

რაც შეეხება იმას, რომ სამართლებრივად, თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველი დაუშვებელია/გაუმართლებელია, ყოფილიყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“, რადგან ის ჟურნალისტის მიერ სადავო სტატუსების გამოქვეყნების შემდგომ გასაჯაროვდა, აღნიშნული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თეორიულად ხსენებული სამართლებრივი აქტის უკანონო შეფარდებისა და მალხაზ რეხვიაშვილის მხრიდან შესაბამისი დაშვების გაკეთების გამომრიცხველ გარემოებად.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თეონა თურმანიძის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე 2020 წლის 11 მაისს საჯაროდ გამოქვეყნებული სტატუსიც, რომელიც ადასტურებს, რომ თავდაპირველად მისთვისაც უცნობი იყო, თუ რა სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით შეეფარდა დისციპლინური სანქცია გამოქვეყნებული სადავო სტატუსების გამო.⁷¹ ამ განცხადებაში, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ საკუთარი დისციპლინური დევნა თავადაც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესებს“ დაუკავშირა. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე თეონა თურმანიძის მიერ მაუწყებლის დირექტორისთვის გაგზავნილი 2020 წლის 22 აპრილის

⁶⁸ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 მაისის №02-22/191 წერილი.

⁶⁹ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელებში ქცევის წესები“, პუნქტი IV.

⁷⁰ იქვე, წესი 12.

⁷¹ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2COxOx6>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

№02-26/972 წერილის შინაარსი. მითითებული გარემოება გამორიცხავს მალხაზ რეხვიაშვილის მხრიდან სადავო ვარაუდის გამოხატვისას, მისი განმაპირობებელი ფაქტობრივი საფუძვლების გადამოწმების შესაძლებლობას თეონა თურმანიძესთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სახალხო დამცველი იზიარებს მალხაზ რეხვიაშვილის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ გამოქვეყნებული სადავო ფრაზა მიჩნეულ უნდა იქნეს თეონა თურმანიძის, როგორც მაუწყებლის მენეჯმენტისადმი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტის, მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძვლის თაობაზე გამოთქმულ შეფასებად/ვარაუდად. სახალხო დამცველის მითითებით, სწორედ ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობა ქმნის მსგავსი შეფასების გაკეთების „საკმარის ფაქტობრივ საფუძველს“, რაც გამორიცხავს გამოთქმული მოსაზრების „გადაჭარბებულად“ მიჩნევას.⁷²

ამავდროულად, ზემოთ მითითებული გარემოებები ცხადყოფს, რომ მალხაზ რეხვიაშვილი სადავო სტატუსის გამოქვეყნებისას, მოქმედებდა კეთილსინდისიერად, იმ მიზნით, რომ საზოგადოების ყურადღება მიექცრო თეონა თურმანიძის შრომისა და გამოხატვის თავისუფლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე. განმცხადებლის მსგავს მოტივს კიდევ უფრო ადასტურებს ის როლი, რაც მას აკისრია, როგორც ჟურნალისტს და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარეს. გარდა ამისა, წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ანალიზის შედეგად, არ იკვეთება, რომ ჟურნალისტს სადავო განცხადებების გავრცელებისას ამომრავებდა პერსონალური შუღლი ან რაიმე სახის სარგებლის მიღების მოლოდინი. აგრეთვე, არ დგინდება, რომ გამოქვეყნებული სტატუსები ემსახურებოდა კონკრეტული პირის გაუმართლებელ პირად თავდასხმას.

რაც შეეხება სადავო ინფორმაციის გავრცელების შედეგად, მაუწყებლისთვის მიყენებულ ზიანს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის რეკომენდაციის თანახმად, აღნიშნული გამოიხატა საზოგადოებრივი მაუწყებლების თანამშრომლებისა და საზოგადოების ფართე ფენების შეცდომაში შეყვანაში, რაც იწვევს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ ნდობის შემცირებას. სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს აღნიშნულ დასაბუთებას იმ პირობებში, როდესაც ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების მიზეზის თაობაზე იმავე დღეს გავრცელდა მედიის მეშვეობით და ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის.⁷³

საგულისხმოა ისიც, რომ ალტერნატიულმა პროფესიულმა კავშირმა, რომლის თავმჯდომარეც მალხაზ რეხვიაშვილია, მათ შორის, მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობისა და მასში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით, 2020 წლის 2 მარტს შეტყობინებით მიმართა მაუწყებლის ხელმძღვანელობას კოლექტიური შრომითი დავის დაწყების თაობაზე.⁷⁴ მოგვიანებით, მაუწყებლის დირექტორმა მედიაციის პროცესის შეწყვეტა მოითხოვა, რამდენადაც პროფესიული კავშირის წევრების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს და დასაბუთებას არ დაეთანხმა.⁷⁵ ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ მალხაზ რეხვიაშვილის მხრიდან სადავო

⁷² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Jerusalem v. Austria*, პარ. 43.

⁷³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: <<http://adjaratv.ge/article/58434>>, <<https://bit.ly/2Z5anqQ>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁷⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/37VVvsU1>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁷⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/57222>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

ინფორმაციის გასაჯაროება ეფუძნებოდა მისი, როგორც ალტერნატიული პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მიერ დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით მაუწყებლის დირექტორთან უშედეგო და არაეფექტიანი კომუნიკაციის გამოცდილებას.

ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, რამდენადაც მალხაზ რეხვიაშვილის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებული სადავო სტატუსის გამო, არ არსებობდა მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, დაუშვებელია, ჟურნალისტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის - სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება ჩაითვალოს გამართლებულ ღონისძიებად, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს მალხაზ რეხვიაშვილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის გამოყენების გასამართლებლად, მაუწყებლის მხრიდან წარმოდგენილ დასაბუთებაზე. კერძოდ, როგორც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის №02-26/1050 რეკომენდაცია მიუთითებს, მალხაზ რეხვიაშვილის მიერ არასწორი ინფორმაციის გავრცელება წინააღმდეგობაში მოდის მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამის ნორმებთან. აღნიშნულის საფუძველზე, რეკომენდაცია განმარტავს, რომ რადგან განმცხადებელი შესაბამისი მიმართვის შემდეგაც არ ასწორებს მის მიერ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, აღნიშნული ხელს უშლის მაუწყებელს, აღასრულოს კანონი და შეიცავს აშკარა საფრთხეს, რომ იგი არ გაასწორებს სხვა სუბიექტის შესახებ გავრცელებულ ცრუ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ მალხაზ რეხვიაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას, რადგან მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მხოლოდ მაუწყებლის მიერ *პროგრამის*⁷⁶ მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს განსაზღვრავს.⁷⁷ რადგან ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი, ისევე, როგორც მის მიერ სხვა სატელევიზიო ეთერში გაჟღერებული ინფორმაცია არ წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ პროგრამას, გაუგებარია, როგორ შეიძლება შეუშალოს ხელი აღნიშნულმა ქმედებებმა აჭარის ტელევიზიის კანონის აღსრულებაში და ამდენად, დააკარგვინოს განმცხადებელთან თანამშრომლობის ინტერესი.

გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმის - *Matúz v. Hungary* მსგავსია. აღნიშნული საქმე შეეხებოდა სახელმწიფო ტელეკომპანიაში დასაქმებული ჟურნალისტის გათავისუფლებას, რომელიც ამავდროულად მაუწყებლის პროფესიული კავშირის თავმჯდომარის პოზიციას იკავებდა. მომჩივანმა არაერთხელ საჯაროდ გაავრცელა ინფორმაცია მაუწყებელში არსებული ცენზურის შესახებ. საბოლოოდ, მან გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც ასახული იყო ტელეკომპანიაში არსებული ცენზურის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები, რაც საფუძველად დაედო მის გათავისუფლებას, რამდენადაც აღნიშნული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევად იქნა შეფასებული. მითითებული

⁷⁶ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა არის პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემული ტელერადიოპროდუქცია.

⁷⁷ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 1, ნაწილი 1.

ვალდებულების თანახმად, მას ეკრძალებოდა სამსახურებრივ პოზიციასთან დაკავშირებით მიღებული ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რაც საზიანო იქნებოდა მისი დამსაქმებლის ან სხვა პირისთვის.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ზემოხსენებული წიგნის მიმართ, იმის მიუხედავად, რომ შეიცავდა მესამე პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი.⁷⁸ აღსანიშნავია, რომ საქმეში არ იკვეთებოდა წიგნში მოცემული ინფორმაციის უტყუარობისა და მომჩივანის კეთილსინდისიერი ზრახვების გამომრიცხავი გარემოებები.⁷⁹ ამასთან, მასში მოყვანილი იყო ჟურნალისტის შეფასებებიც, რომელთა სისწორე დასაბუთებას არ ექვემდებარება.⁸⁰ რაც შეეხება მაუწყებლისთვის მიყენებულ ზიანს, სადავო საკითხს წარმოადგენდა სატელევიზიო კომპანიის რეპუტაციის პოტენციური დაზიანება. ამის თაობაზე, სასამართლომ განმარტა, რომ წიგნის გამოცემაზე, მაუწყებელში არსებული შესაძლო ცენზურის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი იყო.⁸¹ ამასთან, ჟურნალისტის მიერ კონკრეტული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გასაჯაროება მოხდა მას შემდეგ, რაც მაუწყებლის შიგნით მისი საჩივრები უპასუხოდ დარჩა.⁸²

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და სახეზე იყო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

3.2. სოფიო ჟღენტის შრომითი უფლების დარღვევა

როგორც ზემოთ აღნიშნა, შრომის თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას, შეთანხმდეს იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც მას სურს და მისთვის არის მისაღები.⁸³ აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოადგენს არა მხოლოდ სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას, არამედ, ორგანულადაა დაკავშირებული პირის თავისუფალ განვითარებასთან და მისი უნარ-ჩვევების გამოვლენასთან.⁸⁴

შრომით ურთიერთობებში უფლების სწორედ აღნიშნული კომპონენტის უზრუნველყოფას ემსახურება საქართველოს შრომის კოდექსით შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალის⁸⁵ განსაზღვრა და დამსაქმებლის მხრიდან მათი თვითნებურად შეცვლის თავიდან აცილების მიზნით, დასაქმებულისთვის (ე.წ. „სუსტი მხარისთვის“) შესაბამისი გარანტიების მინიჭება. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, მცირე საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია

⁷⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary*, პარ. 37.

⁷⁹ იქვე, პარ. 41 და პარ. 46.

⁸⁰ იქვე, პარ. 41.

⁸¹ იქვე, პარ. 42-43.

⁸² იქვე, პარ. 47.

⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II.პარ.33.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის №ას-887-854-2016 განჩინება.

⁸⁵ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 6, ნაწილი 9.

მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.⁸⁶ თავის მხრივ, შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს მიეკუთვნება დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახე.⁸⁷

გასათვალისწინებელია, რომ სოფიო ჟღენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მისი შრომითი მოვალეობები ონლაინ მედიის სამსახურის დებულებით განისაზღვრება. შესაბამისად, აღნიშნული დებულების ის ნაწილი, რომელიც განმცხადებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოს განსაზღვრავს, წარმოადგენს მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის წარმოშობის დროისთვის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ ონლაინ მედიის სამსახურის, ისევე, როგორც მისი უფროსის ფუნქციები დარეგულირებული იყო მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 29 ოქტომბრის №02-03/37 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სოფიო ჟღენტი, ხელშეკრულების ხელმოწერისას, დათანხმდა სწორედ იმ ფუნქციების შესრულებას, რაც მითითებული დებულებით განისაზღვრებოდა.

როგორც წინამდებარე დოკუმენტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, ონლაინ მედიის სამსახურის დებულების შემდგომი ცვლილების საფუძველზე, შეიზღუდა როგორც აღნიშნული სამსახურის ფუნქციები, ასევე შემცირდა მისი უფროსის, სოფიო ჟღენტის, მიერ შესასრულებელი სამუშაო. კერძოდ, განმცხადებელს ჩამოერთვა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო ვებ-საიტისთვის ტექნიკურად მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესებზე მორგებული დამოუკიდებელი შინაარსის/პროგრამების შექმნის/ონლაინ სივრცეში განთავსების პროცესში და მისი ფუნქციები, ძირითადად, სატელევიზიო თუ რადიო პროგრამების ონლაინ სივრცეში განთავსების ორგანიზება-პოპულარიზაციას დაუკავშირდა. შესაბამისად, შესაძლოა ითქვას, რომ სოფიო ჟღენტს გამოეცალა მაუწყებლის მიერ გასაშუქებელი საკითხების შინაარსზე ზემოქმედების და ამდენად, არსობრივად ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

ამდენად, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, აპარატში მაუწყებლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ განმარტებას, რომ ონლაინ მედიის სამსახურის დებულების შეცვლის შედეგად, არ შეცვლილა აღნიშნული სამსახურის უფროსის მიერ შესასრულებელი სამუშაო. ამის საწინააღმდეგოდ, ზემოთ განხილული გარემოებები ცხადყოფს, რომ მაუწყებლის დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა სოფიო ჟღენტთან დადებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის (შესასრულებელი სამუშაოს სახის) კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის უგულებელყოფით, ცალმხრივად შეცვლას. შედეგად, სოფიო ჟღენტს ჩამოერთვა შესაძლებლობა, მიმდინარე ცვლილებების პროცესში ესარგებლა მისთვის მინიჭებული საკანონმდებლო გარანტიით და სათანადო მონაწილეობა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო წინაპირობა, რაც განმცხადებლის თანხმობის გარეშე, მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის შეცვლას გაამართლებდა. კერძოდ, სოფიო ჟღენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახის შეცვლა არ ყოფილა განპირობებული კანონმდებლობის ცვლილებით.⁸⁸

⁸⁶ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 11, ნაწილი 2.

⁸⁷ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 6, ნაწილი 9, „დ“ ქვეპუნქტი.

⁸⁸ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 11, ნაწილი 3.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ გარშემო ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე მოვლენები⁸⁹ მაუწყებლის თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილში კითხვის ნიშნებს აჩენს ტელევიზიაში დასაქმებული პირების შრომითი უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულის ფონზე, დღის წესრიგში განსაკუთრებით მწვავედ დგება მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ შესაბამისი საკადრო თუ ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვის და იმ დასაქმებულთა უფლებების სრულყოფილი რეალიზების უზრუნველყოფის აუცილებლობა, რომელთა უფლება-მოვალეობებზეც მსგავსი გადაწყვეტილებები ახდენენ გავლენას.

3.3. თეონა თურმანიძის შრომითი უფლებების დარღვევა და მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია

შრომითი უფლებების დარღვევა

თეონა თურმანიძის სადავო სტატუსები შეეხებოდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში“ თანამშრომელთა შესაბამისი ჩართულობის გარეშე მიმდინარე საკადრო და ორგანიზაციულ ცვლილებებს და ამ ფონზე, მაუწყებლის ბიუჯეტის ხარჯვის მიზანშეწონილობას. გამოქვეყნებული განცხადებები მიანიშნებს, რომ ჟურნალისტი აღნიშნულ პროცესებს ტელევიზიაში ახალი მენეჯმენტის პირობებში არსებულ შესაძლო პოლიტიკურ გავლენებს და სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობას უკავშირებდა. თავის მხრივ, სადავო სტატუსების კონტექსტის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს აჭარის ტელევიზიის გარშემო ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს.

კერძოდ, ტელეკომპანია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდა თავისუფალი და მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკით, რაც არაერთხელ დადასტურდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებით.⁹⁰ თუმცა, მას შემდეგ, რაც ტელეკომპანიის დირექტორს, ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა,⁹¹ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შენარჩუნების საკითხი.⁹²

2019 წლის 22 ნოემბერს აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სტუმრობის დროს, მისმა ახლად არჩეულმა დირექტორმა არხს კრიტიკული ტონი დაუწუნა.⁹³ მოგვიანებით, ტელევიზიის თანამშრომლებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ახალი დირექტორის მხრიდან მათ მიკერძოებაში დადანაშაულების თაობაზე ისაუბრეს.⁹⁴ გარდა ამისა, სახალხო დამცველთან გამართულ შეხვედრაზე, ჟურნალისტებმა გარკვეულ ფაქტებზე მიუთითეს, რომლის თანახმადაც,

⁸⁹ იხ. წინამდებარე დოკუმენტის 3.3. თავი.

⁹⁰ იხ. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ (2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი), გვ. 33, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2HdskLy>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020]; საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში (2016-2018), გვ. 14-15, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2vCl6y6>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2VfsARz>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://idfi.ge/ge/adjara_tv> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Yutyvb>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/52428>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

მიიჩნევენ, რომ საფრთხის ქვეშ დგებოდა კრიტიკული მაუწყებლობა და სარედაქციო დამოუკიდებლობა.⁹⁵

ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის სურვილს დაუკავშირდა⁹⁶ აგრეთვე აჭარის ტელევიზიის დირექტორის მიერ მისი პირველი მოადგილის, ნათია ზოიძის შრომითი ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება, რის შედეგადაც, იგი ჩამოშორდა მაუწყებლის პლატფორმებზე სარედაქციო პოლიტიკის მართვას და საბოლოოდ, დაკავებული თანამდებობა დატოვა.⁹⁷ ამასთან, აჭარის ტელევიზიის თანამშრომელთა ნაწილის,⁹⁸ სახალხო დამცველისა⁹⁹ და სამოქალაქო საზოგადოების¹⁰⁰ მწვავე კრიტიკის ფონზე გადაწყდა მაუწყებელში სამტატო ცვლილებების განხორციელება.

საგულისხმოა, რომ ნათია ზოიძის მიერ თანამდებობის დატოვება კრიტიკულად შეაფასა საერთაშორისო ორგანიზაციამ, „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“, რომელმაც ეს ფაქტი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მედიაზე პოლიტიკური ზეწოლის ზრდას დაუკავშირა.¹⁰¹ მოგვიანებით კი, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ აჭარის ტელევიზიის ახალი ამბების სამსახურის ყოფილი უფროსის შორენა ღლონტის, უფროსის მოადგილის მაია მერკვილაძის და ამავე სამსახურის წამყვან-რეპორტიორის თეონა ბაკურიძის დაკავებული პოზიციებიდან გათავისუფლება/გადაყვანა საქართველოს შრომის კოდექსისა და მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელდა და აჭარის ტელევიზიის დირექტორს მათი შრომითი უფლებების აღდგენის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.¹⁰²

მოცემული ეტაპისთვის, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტების ნაწილი პროკურატურისგან დირექტორის მხრიდან მათზე განხორციელებული შესაძლო დევნის გამოძიებას ითხოვს, ხოლო 11 სარჩელით, რომლებიც ბათუმის საქალაქო სასამართლოშია შესული, ისინი შრომითი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით დავობენ.¹⁰³

თეონა თურმანიძის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული კრიტიკა მაუწყებლის მხრიდან მისი საქმიანობის მარეგულირებელ პრინციპებთან შესაბამისობას, ასევე არსებულ საკადრო პოლიტიკას უკავშირდება და ამდენად, წარმოადგენს ტელეკომპანიის გარშემო ბოლო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე პროცესების გამოძახილს. თავის მხრივ, ბუნებრივია, სადავო განცხადებები, ისევე როგორც მაუწყებლის გარშემო განვითარებული მოვლენები, საჯარო ინტერესის სფეროში ექცევა. აღნიშნული საკითხების მიმართ არსებულ მაღალ დაინტერესებაზე მეტყველებს პროცესებში საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე, ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობაც.

თავის მხრივ, ამგვარი შინაარსის გამოხატვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟურნალისტური ფუნქციების გათვალისწინებით, დაცულობის მაღალი სტანდარტით სარგებლობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტისგან დასაშვებია მოვლენების გარკვეული დონით გაზვიადებულად ან

⁹⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3fRnrqz>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Z1HEDf>>; <<https://bit.ly/2BBAyxa>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹⁷ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3fUawnW>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹⁸ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/55646>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

⁹⁹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3i3guov>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

¹⁰⁰ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Z7CMfS>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

¹⁰¹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Z4ZWni>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

¹⁰² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2Z13K9a>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

¹⁰³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3dAEpYZ>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

თუნდაც, პროვოკაციულად და უხეშად აღწერა.¹⁰⁴ თეონა თურმანიძე სწორედ ამგვარ გამოხატვის ფორმას მიმართავდა ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, სადავოდ გამხდარი მოსაზრებების დაფიქსირებისას. გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მხრიდან შესაბამის სამტატო თუ ორგანიზაციულ ცვლილებებზე საუბარის მიმართ შემწყნარებლობის გამოჩენას კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს მის მიერ ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირში“ დაკავებული პოზიცია, რომლის მიზანიც პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობაა.¹⁰⁵

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თეონა თურმანიძის, როგორც დასაქმებული ჟურნალისტის ლოიალურობის ვალდებულების ხარისხი და შესაბამისი ბოჭვა უნდა შეფასდეს მისი დამსაქმებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის საჯარო ხასიათის გათვალისწინებით.¹⁰⁶ ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია, სადავო განცხადების გამო დისციპლინური სანქციის გამოყენება არ დაეფუძნოს დამსაქმებლის რეპუტაციისა თუ კარგი სახელის დაცვის ვალდებულების ძალიან ფართო ინტერპრეტაციას.¹⁰⁷

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს, 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანებაში, რომლითაც თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სანქცია და დროებით შეეზღუდა სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვება, არ გაუმახვილებია ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ სადავო განცხადებებში ასახული ინფორმაციის მიმართ არსებობდა მაღალი საჯარო ინტერესი. დირექტორს არც თურმანიძის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები შეუფასებია მისი, როგორც ჟურნალისტისა და პროფკავშირის წევრის სტატუსების გათვალისწინებით და არ უმსჯელია, თუ რა გავლენას მოახდენდა გამოყენებული სანქცია აღნიშნულ უფლებებზე. ამის საწინააღმდეგოდ, მითითებულ ბრძანებაში წარმოდგენილი მსჯელობა დავიწროებულია მხოლოდ შრომის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევისა და სანქციის გამოყენების წინაპირობების ფორმალური ანალიზით, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ მიდგომასთან და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით დადგენილსტანდარტთან.¹⁰⁸

რაც შეეხება მის მიერ გავრცელებული განცხადებების სისწორესა და უტყუარობას, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული სადავოდ არ არის გამხდარი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანებით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გავრცელებულ სადავო სტატუსებში ასახული ფაქტების სისწორე დასტურდება ტელევიზიის ვებგვერდზე განთავსებული სტატიებით/სიუჟეტებით.¹⁰⁹

¹⁰⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dalban v. Romania*, პარ. 49; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Kuliš v. Poland*, პარ. 47.

¹⁰⁵ „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2, ნაწილი 1.

¹⁰⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Wojtas-Kaleta v. Poland*, პარ. 47.

¹⁰⁷ *იქვე*, პარ. 48.

¹⁰⁸ *იქვე*, პარ. 49; იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary*, პარ. 49.

¹⁰⁹ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<http://adjaratv.ge/article/57971>>; <<http://adjaratv.ge/article/58232>>; <<https://bit.ly/2Z23ZRi>> [ბოლოს ნანახია: 01.07.2020].

ამასთან, სადავო განცხადებები ნაწილობრივ შეფასებით მსჯელობას წარმოადგენს, რომლის სისწორეც დადასტურებას არ ექვემდებარება.¹¹⁰

აღსანიშნავია ისიც, რომ №02-09/62 ბრძანებაში დასაბუთებული არ არის სადავო განცხადებების გაკეთების შედეგად, რაში გამოიხატა მაუწყებლის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა და რა გარემოებების გათვალისწინებით გადაწონა მიყენებულმა ზიანმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ის საჯარო ინტერესი, რაც სავადო ინფორმაციის გავრცელების მიმართ არსებობდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის თანახმად, სადავო სტატუსებში ასახული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სხვა საჯარო წყაროებით (მედიის საშუალებით) ზიანის მიყენების შესაძლებლობას გამორიცხავს.¹¹¹

გარდა ამისა, წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ანალიზის შედეგად, არ იკვეთება, რომ თეონა თურმანიძეს სადავო განცხადებების გავრცელებისას, ამომრავებდა პერსონალური შუღლი ან რაიმე სახის სარგებლის მიღების მოლოდინი. აგრეთვე, არ დგინდება, რომ გამოქვეყნებული სტატუსები მიზნად ისახავდა კონკრეტული პირის გაუმართლებელ პირად თავდასხმას. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ სადავო განცხადებები ემსახურებოდა ტელეკომპანიის გარშემო მიმდინარე მოვლენების კრიტიკას და ყურადღების გამახვილებას მაუწყებლის მხრიდან მისი საქმიანობის მარეგულირებელ პრინციპებთან შეუსაბამობის თაობაზე, რის დასადასტურებლად და მწვავედ წარმოსაჩენდაც, მოყვანილი იყო კონკრეტული მაგალითები.

ამასთან, თეონა თურმანიძის მხრიდან სადავო ინფორმაციის გასაჯაროება ეფუძნებოდა მისი, როგორც ალტერნატიული პროფესიული კავშირის გამგეობის წევრის მიერ დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით მაუწყებლის დირექტორთან უშედეგო და არაეფექტიანი კომუნიკაციის გამოცდილებას.

საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ზემოხსენებული პრინციპების გამოყენებით, უფლების დარღვევა დადგინდა საქმეზე *Wojtas-Kaletka v. Poland*. აღნიშნულ საქმეში მომჩივანი იყო საზოგადოებრივი სატელევიზიო კომპანიის ჟურნალისტი და პოლონური საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტთა გაერთიანების პრეზიდენტი. მას შემდეგ, რაც მან საჯაროდ გააკრიტიკა კომპანია პროგრამულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, გამოეცხადა საყვედური დამსაქმებლის რეპუტაციის დაცვის ვალდებულების დარღვევისთვის.

განსახილველ საქმეში, დარღვევა დადგინდა იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ისეთი მძიმე სანქცია, როგორცაა გათავისუფლება. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ გაითვალისწინა საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საკითხების მიმართ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, მომჩივანის პროფესიული მოვალეობები და დამსაქმებლის მიმართ არსებული ვალდებულებები, ასევე, დააბალანსა საქმესთან კავშირში მყოფი სხვადასხვა ინტერესი და დაადგინა, რომ უფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებული სანქცია კიდევ უფრო მძიმე ხასიათისაა, ვიდრე საყვედურის გამოცხადება, რადგან მას ერთი წლის განმავლობაში შეეზღუდა სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვება, ზემოთ განხილული საქმე

¹¹⁰ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1, „ბ“ ქვეპუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Wojtas-Kaletka v. Poland*, პარ. 50.

¹¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matúz v. Hungary*, პარ. 42-43.

თვალსაჩინოს ხდის, რომ მსგავსი ჩარევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

თეონა თურმანიძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანებით დისციპლინური სანქციის სახით სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვების 1 წლის ვადით შეზღუდვა წარმოადგენდა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რაც, თავის მხრივ, დასაქმებულის შრომითი უფლებების დარღვევის საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, თეონა თურმანიძეს ხელი შეეშალა გამოხატვისა თავისუფლებითა და შრომითი უფლებებით სარგებლობაში.

განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, მათ შორისაა *სხვა შეხედულება*.

მოცემულ შემთხვევაში, თეონა თურმანიძემ საჯაროდ დააფიქსირა პოზიცია მაუწყებლის მხრიდან მისი საქმიანობის მარეგულირებელ პრინციპებთან შესაბამისობისა და არსებულ საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც, გამოხატვის თავისუფლების ზემოთ განხილული სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად, ჟურნალისტის მხრიდან საჯარო კრიტიკის, როგორც გამოხატვის დაცული ფორმის ფარგლებში ექცევა. ამასთან, სწორედ ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით დაფიქსირებული მოსაზრებები დაედო საფუძველად თეონა თურმანიძის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენებას და სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვას, მიეთითა რა, რომ ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ ანგარიშზე 2020 წლის 10 და 11 აპრილს გამოქვეყნებული განცხადებები/სტატუსები მიმართული იყო მაუწყებლის დისკრედიტაციისკენ.

ამდენად, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა განმცხადებლის უფლებებში ჩარევას გამოხატვის თავისუფლებით დაცული აზრის გამო, რაც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს - *სხვა შეხედულებას* უკავშირდება.

ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროდ თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.¹¹²

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების

¹¹²საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 1.

მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.¹¹³

2020 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის გამო სანქციის სახით კონკრეტულ საქმიანობაზე დაშვება შეეზღუდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მხოლოდ ერთ თანამშრომელს - თეონა თურმანიძეს. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი მაუწყებელში დასაქმებულ სხვა პირებთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მის მიერ საჯაროდ გამოხატული მოსაზრებების გამო.

ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი**, აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და გამოყენებული საშუალება დასახული **მიზნის თანაზომიერია**. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹¹⁴

მოცემულ შემთხვევაში, თეონა თურმანიძის სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსები დამსაქმებლის მიერ მაუწყებლის დისკრედიტაციად შეფასდა. მოპასუხის მიერ სადავო გადაწყვეტილებაში ხაზგასმული გარემოებებით დგინდება, რომ თეონა თურმანიძის უფლებებში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს მაუწყებლის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა წარმოადგენდა.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.¹¹⁵ შესაბამისად, უნდა შეფასდეს, იყო თუ არა მოპასუხე მხარის მიერ გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის მიღწევის პროპორციული, თანაზომიერი საშუალება.

ამ კუთხით, დასაქმებული ჟურნალისტის ლოიალურობის ვალდებულების ხარისხისთან და შესაბამისი ბოჭვის ფარგლებთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ბრძანებაში წარმოდგენილი მსჯელობა დავიწროებულია მხოლოდ შრომის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევისა და სანქციის გამოყენების წინაპირობების ფორმალური ანალიზით და არ არის დასაბუთებული თუ რაში გამოიხატა მაუწყებლის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა და რა გარემოებების გათვალისწინებით გადაწონა მიყენებულმა ზიანმა (ასეთის

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, პარ. 19.

¹¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე: „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 15.

¹¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 23.

არსებობის შემთხვევაში) ის საჯარო ინტერესი, რაც სადავო ინფორმაციის გავრცელების მიმართ არსებობდა, დადგინდა, რომ სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვების ერთი წლის განმავლობაში შეზღუდვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის გამოყენებული იყო არაპროპორციულად მძიმე ზომა, რაც წარმოადგენდა თეონა თურმანიძის უფლებებში ინტენსიურ ჩარევას, რომელსაც არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

3.4. თეონა ხარაბაძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება,¹¹⁶ მათ შორის, იცავს უფლებას, *აირჩიოს, განახორციელოს, შეინარჩუნოს* და დათმო სამუშაო.¹¹⁷ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები *შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.*¹¹⁸

როგორც სოფიო ჟენტის საქმესთან დაკავშირებით გაესვა ხაზი, აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოადგენს არა მხოლოდ სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას, არამედ, ორგანულადაა დაკავშირებული პირის თავისუფალ განვითარებასთან და მისი უნარ-ჩვევების გამოვლენასთან.¹¹⁹ შრომით ურთიერთობებში უფლების სწორედ აღნიშნული კომპონენტის უზრუნველყოფას ემსახურება საქართველოს შრომის კოდექსით შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელთა შეცვლის შესაძლებლობა, საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით არის დასაშვები.¹²⁰ ამგვარ პირობას განეკუთვნება, მათ შორის, შესასრულებელი სამუშაოს სახე და სამუშაო ადგილი.¹²¹

მოცემულ შემთხვევაში, 2020 წლის 23 მარტს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის N02-26/865 კორესპონდენციით თეონა ხარაბაძეს ეცნობა, რომ ამავე წლის 25 მარტიდან, რეპორტიორის მოვალეობები განეხორციელებინა ქალაქ ქუთაისში. განმცხადებელს იქვე განემარტა, რომ ვიდეო-ოპერატორის არყოფნის განმავლობაში რეპორტიორის მოვალეობა შეესრულებინა მხოლოდ რადიოსა და ვებ-მაუწყებლობისთვის. მოპასუხე აღნიშნულ მითითებას თეონა ხარაბაძის ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან მეორეში გადაყვანად არ აფასებს, ვინაიდან, მისი განმარტებით, შრომითი ხელშეკრულების მიხედვით განმცხადებელი მაუწყებლის დაარსებიდან დღემდე მუშაობს რეპორტიორად ქალაქ

¹¹⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26.

¹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე მანა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II.3.19

¹¹⁸ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის №ას-887-854-2016 განჩინება.

¹²⁰ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 11, ნაწილი 2.

¹²¹ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 6, ნაწილი 9, „დ“ ქვეპუნქტი.

ქუთაისში. ამასთან, მაუწყებლის დირექტორი ხაზს უსვამს, რომ მაუწყებელში არ ფიქსირდება რაიმე დოკუმენტი თუ როდის, რა მიზნით ან რა ვადით მოხდა მისი დროებით გამოძახება ბათუმში.

გასათვალისწინებელია, რომ N02-15/2018-168 შრომითი ხელშეკრულების თანახმად, თეონა ხარაბაძის ძირითად სამუშაო ადგილებად განსაზღვრულია ქალაქი ბათუმი და ქალაქი ქუთაისი. ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროისათვის, დასაქმებული სამუშაოს ფაქტობრივად ასრულებდა ქალაქ ბათუმში. ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული მოპასუხის პოზიცია, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა რეპორტიორს ქალაქ ქუთაისში - შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, იგი რეპორტიორს წარმოადგენდა ორივე ქალაქში, ფაქტობრივი მდგომარეობით კი - ქალაქ ბათუმში. ამასთან, გაუგებარია რა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით დადგინდა, რომ თეონა ხარაბაძე ბათუმში დროებით იყო გამოძახებული მაშინ, როცა მაუწყებელში არ ფიქსირდება აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი და თეონა ხარაბაძის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში მომზადებული მასალები მოიცავს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებსა და ქალაქ ბათუმთან დაკავშირებულ ახალ ამბებს. 2020 წლის 25 მარტამდე განმცხადებლის მიერ ქუთაისიდან მომზადებული ბოლო მასალა კი, 2018 წლის 28 დეკემბრით თარიღდება და შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ ქუთაისში გამართულ ბოლო სესიას. 2018 წლის განმავლობაში მომზადებული მასალების უმეტესობაც ქალაქ ბათუმში და მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. ხოლო, წინა წლებში თეონა ხარაბაძის მიერ გაშუქებული ამბების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში მიმდინარე მოვლენებს ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის წევრების მიერ გამოხატულ პოზიციებს მოიცავს.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს თეონა ხარაბაძის ახსნა-განმარტების სარწმუნოებაზე, რომლის მიხედვით, მან მაუწყებელში მუშაობა დაიწყო როგორც საპარლამენტო კორესპონდენტმა (რაც დასტურდება მაუწყებლის ვებ-გვერდზე მის შესახებ არსებული ინფორმაციითაც). ხოლო, მას შემდეგ, რაც პარლამენტი ქალაქ ქუთაისში მუდმივ რეჟიმში აღარ მუშაობდა და მხოლოდ 2 კვირაში ერთხელ მართავდა სესიებს, თეონა ხარაბაძე სამუშაოდ გადავიდა ქალაქ ბათუმში და პარალელურად პერიოდულად აშუქებდა ამბებს ქუთაისიდან (პარლამენტის მუშაობის რეჟიმის შესაბამისად). ქუთაისში პარლამენტის მუშაობის შემდეგ კი, იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ ბათუმში. თუმცა, დამსაქმებელმა აღნიშნული გარემოებები არ გაითვალისწინა. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით არ დგინდება გადაწყვეტილების მიღებამდე თეონა ხარაბაძისგან, ყოფილი მენეჯმენტის წევრებისგან ან მაუწყებლის თანამშრომლებისგან საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების ფაქტი, რა შემთხვევაშიც, დამსაქმებელი შეძლებდა დაედგინა, თუ რატომ ასრულებდა თეონა ხარაბაძე სამსახურებრივ მოვალეობებს ქალაქ ბათუმში და რამდენად იყო მსგავსი ფაქტობრივი ვითარება რაიმე ვადით შემოფარგლული.

სამუშაო ადგილის ფაქტობრივი ცვლილების შემდეგ, თეონა ხარაბაძესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისი ნაწილი არ შეცვლილა. შესაბამისად, დამსაქმებელს ჰქონდა ფორმალური საფუძველი თეონა ხარაბაძისთვის შრომითი მოვალეობების ქალაქ ქუთაისში განხორციელება მოეთხოვა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმავე გადაწყვეტილებით, თეონა ხარაბაძეს ვიდეო-ოპერატორის არყოფნის განმავლობაში რეპორტიორის მოვალეობების მხოლოდ რადიოსა და ვებ-მაუწყებლობისთვის შესრულებაზე მიეთითა. მაუწყებლის 2020 წლის 21 მაისის N02-22/191 წერილით სახალხო დამცველის აპარატს განემარტა, რომ ქალაქ ქუთაისში ვიდეო-

ოპერატორის პოზიციაზე თანამშრომლის მიღება დაგეგმილია ვიდეო-კამერების პარკის განახლებისა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების ახალი გეგმის შესაბამისად გადაწვინების შემდეგ. შესაბამის თარიღზე მოპასუხეს არ მიუთითებია და, დღეის მდგომარეობით, თეონა ხარაბაძე სამსახურებრივ მოვალეობებს ოპერატორის გარეშე უკვე 3 თვეზე მეტია ასრულებს.

გასათვალისწინებელია, რომ შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, თეონა ხარაბაძის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს თემების შერჩევას, თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებას, გადაღებების დაგეგმვას და გადაღებების, stand up-ებისა და პირდაპირი ჩართვებისთვის მთელი რიგი საკითხების განსაზღვრას ოპერატორთან ერთად. ამდენად, მისი სამუშაოს უდიდესი ნაწილი სწორედ ოპერატორთან ერთად მუშაობას უკავშირდება. ამასთან, საყურადღებოა ბოლო 3 თვის განმავლობაში მის მიერ მომზადებული მასალების რაოდენობისა და სახეების რადიკალური ცვლილება წინა პერიოდებთან შედარებით. 2020 წლის 25 მარტიდან 2020 წლის 25 ივნისამდე პერიოდში თეონა ხარაბაძეს მომზადებული აქვს 19 პუბლიკაცია მაშინ, როცა წინა 3-თვიან პერიოდში (2019 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 25 მარტამდე) მის მიერ მომზადებული პუბლიკაციების რაოდენობა 124-ს უტოლდებოდა. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის განსახილველი გადაწყვეტილების შემდეგ თეონა ხარაბაძის მიერ მომზადებულ არცერთ პუბლიკაციას არ ახლავს საავტორო ვიდეო-მასალა. 2020 წლის 25 მარტამდე კი განმცხადებლის მიერ მომზადებული სიუჟეტები ეთერში დღეში რამდენჯერმე გადიოდა, არ შემოიფარგლებოდა ბათუმისა თუ ქუთაისის არეალით და ფარავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა, მაგალითად: საარჩევნო სისტემა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნები, კორონავირუსი, მკაცრი საკარანტინო რეჟიმი მარნეულსა და ბოლნისში. ამასთან, იგი აქტიურად ერთვებოდა პირდაპირ ეთერში ჩართვებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლის 25 მარტამდე თეონა ხარაბაძე წარმოადგენდა აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთ წამყვან ჟურნალისტს, რომელიც პირადად აწვდიდა მაყურებელს ახალ ამბებს ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი მოვლენების თაობაზე. ამასთან, აღნიშნული ფუნქციები შეესაბამებოდა მის შრომით ხელშეკრულებაში მითითებულ სამუშაოს სახეს. დღეის მდგომარეობით კი, მისი სამუშაო ქუთაისში მიმდინარე ერთეული შემთხვევების შესახებ წერილობითი მასალების დისტანციურად მომზადებას მოიცავს მაშინ, როცა შრომითი ხელშეკრულებით მისი საქმიანობა არ არის შემოფარგლული მხოლოდ ქუთაისის ახალი ამბების გაშუქებით.

მსგავსი ვითარების გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შრომით ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის ფორმალურად გამოყენებით თეონა ხარაბაძეს ერთმევა შესაძლებლობა, განახორციელოს ის სამუშაო, რომელიც აირჩია და რომელიც ორგანიზაციას დაკავშირებული მისი, როგორც ჟურნალისტის, უნარ-ჩვევების გამოვლენასთან. შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებისთვის ფორმალური საფუძვლების გამოყენება დისკრიმინაციული მოტივების დასაფარად უცხო არ არის.¹²² ამასთან, შრომითი ურთიერთობების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მათ მიმართ წმინდა სახელშეკრულებო მიდგომის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანია გამოირიცხოს დამსაქმებლის მიერ

¹²² იხ. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკა, ე.წ. “რეორგანიზაციის“ ან „ვადის ამოწურვის საფუძველით დისკრიმინაციული მოტივების დაფარვის შესახებ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-732-732-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1299-2019).

საკუთარი უფლების ბოროტად გამოყენება.¹²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი მიხედვით, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი ურთიერთობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ფორმალური-სამართლებრივი საფუძვლების არსებობა არ გამორიცხავს რომელიმე ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის არსებობას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, თეონა ხარაბაძის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვისთვის დამსაქმებლის მხრიდან გამოყენებული იყო დასაქმების ადგილის შესახებ ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი, რომელიც ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, კანონიერი საშუალება იყო მოპასუხე მხარისთვის, რომ განმცხადებელი ტელე-ეთერიდან ჩამოეშორებინა. ამდენად, სახეზეა თეონა ხარაბაძის შრომით უფლებებში ჩარევის ფაქტი.

განსხვავებული აზრის გამოხატვა და პროფესიული კავშირის წევრობა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნები

განმცხადებელი მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს მის მიერ ტელევიზიის მენეჯმენტის მიმართ გამოხატულ კრიტიკას და ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრობას უკავშირებს. კერძოდ, როგორც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიეთითა, იგი აქტიურად აპროტესტებდა მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებს, მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში, ღიად გამოხატავდა თავის კრიტიკულ პოზიციას მენეჯმენტის მიერ მიღებული სარედაქციო და საკადრო გადაწყვეტილებების შესახებ სხვადასხვა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუებში და ამზადებდა კრიტიკულ სიუჟეტებს, მათ შორის, მენეჯმენტის ახალი წევრების შესახებ. ამასთან, იგი მონაწილეობდა 2020 წლის 6 მარტის ინციდენტში, როდესაც თანამშრომლების ნაწილი დაუპირისპირდა გ.ა-ს. ამდენად, თეონა ხარაბაძეც თეონა თურმანიძის მსგავსად საჯაროდ აფიქსირებდა მოსაზრებებს ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს

- სხვა შეხედულებას უკავშირდება.

ამასთან, განმცხადებელი არის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ გამგეობის წევრი და აქტიურად მონაწილეობს პროფკავშირულ საქმიანობაში. მათ შორის, იგი შესაბამის სატელევიზიო ჩართვებშიც ხაზს უსვამდა ჟურნალისტთა ნაწილის მიერ დაარსებული ალტერნატიული პროფესიული კავშირის მეშვეობით შრომითი უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილ აქტივობებს და საგაფიცვო პროცედურებს.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. საქართველოს შრომის კოდექსი შეიცავს სპეციალურ დათქმას გაერთიანების თავისუფლების თავში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც აკრძალულია

¹²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1350-2019.

დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო.¹²⁴

პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლითაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი მოიცავს პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციისგან დაცვასაც, რადგან ის წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დარღვევას, რომელსაც შეუძლია პროფესიული კავშირის არსებობაზე ნეგატიური გავლენა იქონიოს.¹²⁵

სახალხო დამცველი ყურადღებას მიაქცევს, მათ შორის, მაუწყებელში ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების კონტექსტს. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის 24 აპრილს გამოცემულ N04-2/4408 რეკომენდაციაში ფიგურანტი სამივე ჟურნალისტი - შორენა ლლონტი, მაია მერკვილაძე და თეონა ბაკურიძე, ასევე, განსახილველი საქმის განმცხადებლები - თეონა თურმანიძე, მალხაზ რეხვიაშვილი, სოფიო ჟღენტი და თეონა ხარაბაძე წარმოადგენენ ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრებს, გამგეობის წევრებს და პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს. ამასთან, თეონა ბაკურიძის სამსახურიდან გათავისუფლება სწორედ იმ ინციდენტს უკავშირდებოდა, რომლის შესახებაც 2020 წლის 12 მარტს წარდგენილ განცხადებაში გ. ა. ხაზს უსვამდა თეონა ბაკურიძესთან ერთად თეონა ხარაბაძის აქტიურ ჩართულობას მასთან დაპირისპირების პროცესში. საგულისხმოა, რომ აღნიშნული განცხადებიდან თეონა ხარაბაძისთვის ქუთაისში გადასვლის თაობაზე შეტყობინების გაგზავნას შორის დროის შუალედი 11 დღეს შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველს წარმოეშვა ვარაუდი, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა განმცხადებლის შრომით უფლებებში ჩარევას განსხვავებული მოსაზრებისა და პროფკავშირული საქმიანობის გამო.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო დისკრიმინაციის გამოსარიცხად არგუმენტები არ წარმოუდგენია. კერძოდ, საპასუხო კორესპონდენციაში (N02-22/193, 25/05/2020) მითითებულია: *განსხვავებული შეხედულებებისა და პროფესიული კავშირის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის დაწყება არის ჩვენთვის იმდენად დიდი მნიშვნელობის, რომ მიგვაჩნია, მხოლოდ აღნიშნული წერილით და პასუხით შემოსაზღვრა არაა საკმარისი და საჭიროა ვითარების უფრო მრავალმხრივი შესწავლა.* ამასთან, ალტერნატიული პროფესიული კავშირის შესახებ აღინიშნა, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობა მისი წევრების

¹²⁴ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 40², პუნ. 1.

¹²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *DANILENKOV AND OTHERS v. RUSSIA*, პარ. 123.

შესახებ ინფორმაციას არ ფლობს მაშინ, როცა აჭარის მაუწყებელში ალტერნატიული პროფკავშირის შექმნისა და მისი წევრების მიერ გაკეთებული პირველი განცხადების შესახებ ინფორმაცია თავად აჭარის ტელევიზიით გაშუქდა და დღესაც არის ხელმისაწვდომი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან, მიმდინარეობდა ოფიციალური საგაფიცვო პროცედურები და მედიაციის პროცესი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ როგორც ალტერნატიული პროფესიული კავშირის წევრები, ისე - მაუწყებლის დირექტორი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ვერ გააქარწყლა საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი ვარაუდი, რომ თეონა ხარაბაძის შრომით უფლებებში ჩარევა განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, სახალხო დამცველი დისკრიმინაციული ქმედების თაობაზე დაშვებულ პრეზუმფციას დამტკიცებულად მიიჩნევს.

ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორმა განმარტა, რომ 2020 წლის იანვრიდან დღემდე არ განხორციელებულა მაუწყებლის არცერთი თანამშრომლის გადაყვანა ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან მეორეში. მართალია, წერილში ისიც არის მითითებული, რომ არც თეონა ხარაბაძის გადაყვანა განხორციელებულა ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან მეორეში, ვინაიდან მის შრომით ხელშეკრულებაში ცვლილება არ შესულა. თუმცა, მაუწყებელს არც თეონა ხარაბაძის მსგავს ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებია რომელიმე სხვა თანამშრომელთან მიმართებით. შესაბამისად, სახალხო დამცველი დადგენილად მიიჩნევს, რომ თეონა ხარაბაძე წარმოადგენს მაუწყებლის ერთადერთ თანამშრომელს, რომელსაც შეეცვალა სამუშაო არეალი, რაც არსებითად აისახა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე. ამდენად, იგი მაუწყებელში დასაქმებულ სხვა პირებთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მის მიერ საჯაროდ გამოხატული მოსაზრებებისა და პროფესიული კავშირის წევრობის გამო.

ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ განმარტებით (N02-22/191, 21.05.2020), ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, მაუწყებელს ესაჭიროება რეპორტიორი საქართველოს რამდენიმე მსხვილ ქალაქში, ვინაიდან პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად, მაუწყებელი „მნიშვნელოვნად უნდა ფოკუსირდეს საქართველოს რეგიონების ცხოვრებაზე“. შესაბამისად, მოპასუხის განმარტება მიაჩნდება, რომ განმცხადებლის სამუშაო არეალად ქალაქ ქუთაისის განსაზღვრის ლეგიტიმურ მიზანს რეგიონების ცხოვრებაზე მნიშვნელოვნად ფოკუსირება წარმოადგენდა.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უფლების შემზღვევადი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში, 2020 წლის 25 მარტის შემდეგ 3-თვიან პერიოდში თეონა ხარაბაძის მიერ მომზადდა მხოლოდ 19 პუბლიკაცია, რომლებსაც არ ახლავს საავტორო ვიდეო-მასალა, რომლებიც მიუთითებდა, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სიუჟეტი ან სხვა სახის ინფორმაცია

გავიდა რომელიმე საინფორმაციო გამოშვებაში. ამასთან, ყველა მათგანი არ შეეხება ქუთაისთან ან იმერეთის რეგიონთან დაკავშირებულ მოვლენებს.¹²⁶ გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის 25 მარტიდან დღემდე თეონა ხარაბაძე არ არის უზრუნველყოფილი ქუთაისში საცხოვრებელი სახლით, სამუშაო სივრცითა თუ ოპერატორით და სამსახურებრივი მოვალეობების დისტანციურად, ქალაქ ბათუმიდან ახორციელებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში მიმდინარე მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები არ არის იმ ოდენობის, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლოს მათი გაშუქება თავისი ჩვეული და ხელშეკრულების შესაბამისი საქმიანობის სრულად განხორციელების ფარგლებში. ხოლო, მეორე მხრივ, მაუწყებლის მიერ მისი საქმიანობის ხელშეწყობისთვის გადადგმული ნაბიჯები არ შეესაბამება მის მიერ ხაზგასმულ მიზანს, ვინაიდან მას თვეების განმავლობაში არ განუხორციელებია არცერთი ღონისძიება თეონა ხარაბაძის საცხოვრებელი ან სამუშაო სივრცით ან ოპერატორით უზრუნველყოფის მიზნით. რეგიონის ცხოვრებაზე რეალურად ფოკუსირების შემთხვევაში კი, ბუნებრივია, მაუწყებლის უპირველესი ინტერესი იქნებოდა რეპორტიორის შესაბამისი სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფა, რათა ამ უკანასკნელს თავისი მოვალეობები სრულყოფილად შეესრულებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თეონა ხარაბაძის სამუშაო არეალის ქალაქ ქუთაისით შემოფარგვლა არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას და რეალურად ვერ უზრუნველყოფს კონკრეტულ მიზნებსა და ინტერესებს, რაც გაამართლებდა განმცხადებლის შრომით უფლებებში ისეთ ინტენსიურ ჩარევას, რომლის შედეგადაც, განმცხადებელს ერთმევა შესაძლებლობა, განახორციელოს ის სამუშაო, რომელიც აირჩია და რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული მისი, როგორც ჟურნალისტის, უნარ-ჩვევების გამოვლენასთან.

4. სოფიო ჟღენტის, მალხაზ რეხვიაშვილის მიმართ განსხვავებული შეხედულებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლა.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ მალხაზ რეხვიაშვილს, სოფიო ჟღენტს და თამარ ხარაბაძეს სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნით რამდენიმე სარჩელი აქვთ წარდგენილი ბათუმის საქალაქო სასამართლოში. შესაბამისი სარჩელების გაცნობის შემდეგ, დადგინდა, რომ მალხაზ რეხვიაშვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, მათ შორის, მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის გიორგი კობრეიძის 2020 წლის 11 მაისის N002-05/59 ბრძანების ბათილად ცნობა. სოფიო ჟღენტის სასარჩელო მოთხოვნას კი, წარმოადგენს, მათ შორის, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ონლაინ მედიის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის N02-03/09 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც განხორციელდა მოსარჩელე სოფიო ჟღენტის შესასრულებელი სამუშაოს, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის მასთან შეთანხმების გარეშე შეცვლა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს.

¹²⁶ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://ajaratv.ge/article/57168>>; <<https://ajaratv.ge/article/60120>>; <<https://ajaratv.ge/article/60122>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2020].

მართალია, განმცხადებლებს სასამართლო წარმოებისას სასარჩელო მოთხოვნის სახით პირდაპირ არ აქვთ დაყენებული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მალხაზ რეხვიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სოფიო ჟღენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახის ცვლილების დისკრიმინაციის ჭრილში შესწავლისთვის, აუცილებელია უშუალოდ აღნიშნული სამართლებრივი აქტების კანონიერების შეფასება, რის შემდეგაც, შესაძლებელი იქნება დისკრიმინაციის ელემენტებზე მსჯელობა. კერძოდ, როგორც ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმებით დგინდება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით დაცული უფლების დარღვევის ფაქტის დადგენა, ხოლო შემდგომ საფეხურს წარმოადგენს დაცული ნიშნის იდენტიფიცირება, ანალოგიურ პირობებში მყოფ პირებთან შედარება და ობიექტური დასაბუთების გამოკვეთა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორივე განმცხადებელი სარჩელებში მიუთითებს იმავე ფაქტობრივ გარემოებებს, რაც სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანია და რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მალხაზ რეხვიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისა და სოფიო ჟღენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახის ცვლილების კანონიერების შეფასება წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პირველ საფეხურს და საქმის წარმოების გაგრძელების შემთხვევაში, სასამართლოსთან მოხდება ურთიერთმფარავი სამართლებრივი პროცესის წარმართვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი, მალხაზ რეხვიაშვილისა და სოფიო ჟღენტის შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტის მიმართულებით აჩერებს საქმისწარმოებას.

რაც შეეხება თეონა ხარაბაძეს, მის სასარჩელო მოთხოვნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ და მისი დირექტორის გიორგი კობრიძის მხრიდან მოსარჩელის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აღკვეთა წარმოადგენს,¹²⁷ რაც სახალხო დამცველს წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის არ შეუფასებია. შესაბამისად, არ არსებობს სასამართლოსთან ურთიერთმფარავი სამართლებრივი პროცესის წარმართვის საფრთხე და საქმისწარმოების შეჩერების საფუძველი.

5. დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის მიერ თეონა თურმანიძისთვის დისციპლინური სანქციის დაკისრება, მალხაზ რეხვიაშვილის დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლება და სოფიო ჟღენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახის ცალმხრივი ცვლილება განხორციელდა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. ამავდროულად, თეონა თურმანიძის მიმართ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მხრიდან აღდგენილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული მოსაზრების გამო. ასევე, თეონა ხარაბაძის მიმართ

¹²⁷ მოთხოვნა დაყენებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მოთხოვნით.

ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის გამო.

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- ბათილად ცნოთ 2020 წლის 21 აპრილის №02-09/62 ბრძანება, რომლითაც თეონა თურმანიძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრიმინირება და დროებით შეეზღუდა სატელევიზიო წამყვანის საქმიანობაზე დაშვება;
- ბათილად ცნოთ 2020 წლის 11 მაისის №02-05/56 ბრძანება, რომლითაც მალხაზ რეხვიაშვილი გაათავისუფლა დაკავებული პოზიციიდან, ამასთან, იმსჯელოთ განმცხადებლის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ან მისი ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის და შესაბამისი განაცდურის ანაზღაურების (საჭიროების შემთხვევაში) ან მათთვის სათანადო კომპენსაციის გადახდის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს უფლებადარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სამართლიან ანაზღაურებას;
- მომავალში ნებისმიერი სახის საკადრო თუ ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოახდინოთ აღნიშნული პროცედურ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა განუხრელი დაცვა და იმ დასაქმებულთა უფლებების სრულფასოვანი რეალიზების უზრუნველყოფა, რომელთა უფლება-მოვალეობებზეც მსგავსი გადაწყვეტილებები ახდენენ გავლენას;
- ბათილად ცნოთ 2020 წლის 23 მარტის N02-26/865 კორესპონდენციაში ასახული გადაწყვეტილება, რომლითაც თეონა ხარაბაძეს ეცნობა, რეპორტიორის მოვალეობები განეხორციელებინა ქალაქ ქუთაისში და უზრუნველყოთ თეონა ხარაბაძე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამსახურებრივი მოვალეობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობით;
- მომავალში თავი შეიკავოთ შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისაგან და საქმიანობა წარმართოთ თანასწორობის პრინციპის დაცვით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

